პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მეზღ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კრუზენ. ქ. № 4. მე 2 სართული

მთავარი კანტორა: თბილისი, რუსთაველის პრ. № 24 მე-2 სართული ტელეფ. 5—48

რედაქციაში ხელნაწერების მიღება-დაბრუნება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 6 საათამდე.

ტელეფ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივნის—19

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 230.000 მ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 1200 მ. 1922 წ. ნიშნებით. განცხადება— 20 ათ. მ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 500 ათ. მ.

№ 18 პარასკევი, 26 იანვარი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10.000 მან. № 18

დღიური

საბჭოთა რუსეთმა ტფილისის [illegible] ელექტრონის სადგურის [illegible] გადასახდელად ხელზეა 1 მილიონი მანეთი ოქროთი.

რურის ოლქის რკინისგზელთა გაფიცვის გამო საფრანგეთი აგზავნის ოლქში 8750 რკინისგზელს.

მანილში გაიმართა დემონსტრაცია მრეწველთა [illegible] წინა დღეს.

ესენის მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს. საფრანგეთი ოლქში უმაღლეს კომისარს ნიშნავს.

ლოზანის კონფერენციაზე გრძელდება განხილვა ოსმალეთის, სირიის და მესოპოტამიის საზღვრების.

მოწოდება

პარტიის ისტორიის კომისიისა

ამხანაგებო!

პარტიის ისტორიის შესასწავლად და რევოლიუციონური წარსულის მასალათა შესაკრებათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან დაარსდა პარტიის ისტორიის კომისია. კომისია, დასახულ მიზნის მიღწევად იწყებს ყოველთვიურ ჟურნალის გამოცემას „რევოლიუციის მატიანე"-ს სახელწოდებით (ქართულად და რუსულად). „რევოლიუციის მატიანეში" ადგილი დაეთმობა ისეთ მასალებს, რომლებიც მომთხრობელი და სწორი [illegible] იქნება განვლილი ხანების რევოლიუციონურ მოძრაობისა და ღირსშესანიშნავ რევოლიუციონურ მომენტებისა. „რევოლიუციის მატიანე"-მ უნდა შესძლოს საქართველოს მდიდარი რევოლიუციონური წარსულის ყოველ მხრივ დასურათება და რევოლიუციის ენზე, [illegible] ყველა მაგალითებით გადმოშლა; „რევოლიუციის მატიანემ" უნდა მისცეს ახალი ქვეყნის საშენებლად ჩაბმულ მშრომელ ხალხს რევოლიუციისა და მისი ხელმძღვანელი პარტიის გაშუქებული ისტორია.

საქართველო, პეტერბურგ-მოსკოვის შემდეგ წარსულ რევოლიუციების ისტორიებიდან რუსეთში რევოლიუციის ერთ-ერთ აკვნად ითვლება: თბილისი, ბათომი, გურია, ჭიათურა, ქუთაისი მეტად მდიდარია მშრომელი ხალხის რევოლიუციონური გამოსვლებით, რევოლიუციით წარმოშობილ თვალსაჩინო გმირებით და მასწავლებელ-ბელადებით. ამ ბრძოლას მეფე ნიკოლოზის დროს ათეული და ასეული ამხანაგები დაუცია ძირს განგმირული.

საქართველოში ბრძოლა მონარქიულ-ბურჟუაზიულ ქვეყნის წინააღმდეგ დაიწყო 80-90 წლებიდან.

მშრომელმა ხალხმა უნდა იცოდეს, თუ რა ამოძრავებდა, რა ამოქმედებდა და ამოქმედებს დღესაც ბრძოლის და პასუხის-მგებლობის ამ მძიმე პერიოდში რევოლიუციის ძველ გვარდიას.

ამიტომ პარტიის ისტორიის კომისია მოუწოდებს რევოლიუციის ყველა მონაწილეთ მოგვაწოდონ ყოველგვარი წერილობითი საბუთები რევოლიუციონურ მუშაობის შესახებ; პირადი მიწერ-მოწერა, ვრცელი მოგონებები და ვისაც კი მოეპოვება მდიდარი ბიოგრაფიები რევოლიუციონერებისა; აგრეთვე საკუთარი ავტო-ბიოგრაფიებიც.

სასურველია მოგვაწოდონ დახოცილ რევოლიუციონერების ფოტოგრაფიული სურათები მოკლე ბიოგრაფიით.

პარტიის ისტორიის კომისია.

„რევოლიუციის მატიანე"-ს რედაქცია იმყოფება საქ. კომუნ. პარტიის ცეკას შენობაში. ყოველი მასალა უნდა გადაიგზავნოს იქვე ს. თალაკვაძის სახელზე.

სახალხო განათლების ფრონტზე

საქართველოს ცაკის საგანგებო სესიამ, როგორც მკითხველებმა უკვე იციან, ორი მნიშვნელოვანი რეზოლიუცია გამოიტანა: ერთი ეხება აგრარულ რეფორმას, რომლის გატარება, სესიის კატეგორიული გადაწყვეტილებით, უნდა დამთავრდეს ამა წლის 15 მარტამდე. ეს საქმე ცნობილია დაჩქარებულ და გადაუდებელ ამოცანად.

მეორე რეზოლიუცია ეხება სახალხო განათლებას, რომელ დარგში მუშაობა გამოცხადებულია პირველ ხარისხოვან საქმედ.

პირველ საკითხზე ჩვენ ამ ჟამად არ ჩამოვაგდებთ ლაპარაკს, მით უმეტეს, რომ ამ საგანზე გუშინ იყო მოთავსებული ამხ. ორჯონიკიძის წერილი. ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით მას, გარემოების მიხედვით.

ჩვენ გვინდა დღეს ისევ სახალხო განათლების საკითხს მივაქციოთ სათანადო ორგანოების და მთელი მშრომელი მასების ყურადღება.

დიახაც, რომ ის პირველ ხარისხოვანი საქმეა საერთოდ, განსაკუთრებით კი ისეთ კულტურულად ჩამორჩენილ ქვეყანაში, როგორიცაა ჩვენი სამშობლო.

ეს ჩამორჩენილობა შედეგია მეფის საუკუნოებრივი სულთამხუთავი რეჟიმის და მენშევიკების პოლიტიკისა.

თვითმპყრობელობა დაინტერესებული იყო ხალხის სიბნელით, რომელიც ერთი ერთი პირობა იყო მისი ბატონობის განმტკიცებისა. ამიტომ ის ხალხის განათლებაზე ყველაზე ნაკლებ ზრუნავდა, ან თუ ამ მხრით რამეს აკეთებდა, ისეთს რამეს, რაც ამახინჯებდა ახალ თაობის გონებას, აძნელებდა მშრომელ მასების შეგნებას სარწმუნოებრივ და სხვა პოლიტიკურ და სულიერ მონობის განმამტკიცებელ „ცოდნით". ამასთან დასახასიათებელია თვითმპყრობელობის რუსიფიკატორული პოლიტიკა განაპირა ქვეყნებში.

არც მენშევიკებს მოუტანიათ რამე მნიშვნელოვანი ცვლილება სახალხო განათლების ორგანიზაციაში. ისინი არ ცდილან შეეტანათ შიგ რაიმე ახალი, სალი პედაგოგიური იდეები. მათ გაამრავლეს სკოლების რიცხვი, მაგრამ ეს სკოლები უფრო ნომინალურად და ქაღალდზე არსებობდნენ, ვინემ სინამდვილეში.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლება აყენებს განათლების საკითხს მთელი თავისი სიგრძე-სიგანით. მან გადაახალისა სკოლის მთელი იდეიური შინაარსი, ის ატარებს შრომის და პოლიტექნიკური სკოლის სრულად ახალ პრინციპებს. იგი დიდ ყურადღებას აქცევს, ზოგად განათლებასთან ერთად, პროფესიონალურ—ტექნიკურ და სპეციალურ ცოდნის გავრცელებას ხალხში. მოსწავლეების, სხვა და სხვა დარგის სპეციალისტ პრაქტიკოსების გამრავლება, სასოფლო სამეურნეო მუშაკების მომზადება შეადგენს ხელისუფლების საზრუნავ საგანს.

ამასთან უდიდესი ყურადღება აქვს მიქცეული მოზარდი თაობის სოციალურ აღზრდას და ხალხის პოლიტიკურ გათვითცნობიერებას. ჩვენ უნდა მოვამზადოთ მოქალაქენი კომუნისტურ კულტურით და პოლიტიკით და მთელი ხალხი ჩავაბათ ახალ საზოგადოების ცხოვრების შეგნებულ, აქტიურ აღმშენებლობაში.

ამ მიმართულებით უკვე წარმოებს ინტენსიური მუშაობა.

საქმეს უმთავრესად აბრკოლებს ჩვენი სიღარიბე, ნივთიერი საშუალებათა სიმცირე. იმპერიალისტურმა ომმა და შემდეგ ნაციონალურმა ომმა, რომელიცა განუწყვეტლივ აწარმოეს მენშევიკებმა, გაძარცვეს ჩვენი ხალხი. ამასთან გაქცევის დროს მენშევიკებმა გაიტაცეს ის ქონება, რაც გადარჩა მათ ოთხი წლის ბატონობის დროს.

მაგრამ რაგინდარიც არ უნდა იყოს ჩვენი სახელმწიფოს სიღარიბე, განათლების საქმისათვის ჩვენ უნდა გავიღოთ, რაც არ უნდა დაგვიჯდეს, გაცილებით იმაზე მეტი, რაც აქამდე იხარჯებოდა. სკოლების მომარაგება საჭირო ნივთებით და მის მოწაფეთა მატერიალური უზრუნველყოფა არის ის ძირითადი პირობა, უიმისოდ შეუძლებელია სერიოზულად ლაპარაკი განათლების საქმის მოგვარებაზე. აქ ცენტრმა უნდა გაიღოს რესპუბლიკის ბიუჯეტიდან შესაძლებელი მაქსიმუმი. მაგრამ, ცხადია, ეს არ არის საკმარისი. უპირველეს ყოვლისა ადგილობრივმა სათანადო ორგანოებმა უნდა შექმნან განათლებისათვის საჭირო ხელსაყრელი მატერიალური პირობები.

ცაკის საგანგებო სესიის რეზოლიუცია ვრცლად ეხება განათლების სფეროში მდგარ ახლომდელ ამოცანებს და ხაზს უსვამს მისთვის საკმაო მატერიალურ ბაზის შექმნის აუცილებლობას.

საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს, ცაკის სესიის ავტორიტეტულმა დადგენილებამ ხორცი უნდა შეისხას. მისი განხორციელება უნდა შეადგენდეს როგორც ცენტრალურ ხელისუფლების, ისე მისი ადგილობრივი ორგანოების და მთელი ხალხის მუდმივ საზრუნავ საგანს.

საერთო ძალღონით ჩვენ შევძლებთ ხალხის მთავარი მტერის, მისი უმეცრების დაძლევას და განათლების საქმის ისე დაყენებას, როგორც ეს შეეფერება ძალაუფლების მატარებელ მშრომელ ხალხს.

ცენტრალური ევროპის გავერანება, იმპერიალისტური რეაქცია და რევოლიუცია

I

იმპერიალისტური ომის ჭექა-ქუხილის დროს, შვიდი წლის წინათ, გერმანიის მემარჯვენე და ცენტრის სოციალისტებს შორის გაცხარებული კამათი სწარმოებდა სხვათა შორის იმ მიზნების შესახებ რომლებსაც ისახავდნენ საფრანგეთის იმპერიალისტები დაწყებულ ომში. მემარჯვენეებს სურდათ დაეხატათ თავიანთ თანამემამულეებისთვის ის საშინელება, რომელიც არ ასცდებოდა გერმანიას იმ შემთხვევაში, თუ მოკავშირეთა იარაღი გამარჯვებული გამოვიდოდა ბრძოლის ველიდან. მათი სურვილი იყო მტრობა, შურის გრძნობით დაეთრეთ გერმანიის ხალხი, დაერაზმათ და იერიშებით წაეყვანათ ინგლის-საფრანგეთის კოალიციის წინააღმდეგ. მართალსაც და ტყუილსაც იყენებდნენ ისინი, რათა ამ მიზნისათვის მიეღწიათ. პირიქით ცენტრის სოციალისტები, გამოდიოდნენ რა უპრინციპო პაციფიზმის პოზიციიდან, ცდილობდნენ შეერბილებინათ ის საფრთხე, რომელსაც უხატავდნენ მემარჯვენეები თანამოქალაქეებს. საჭირო შეიქნა მემარჯვენე სოციალისტ, დავიდისათვის ფართოდ ესარგებლა ენგელსის ისტორიული მონოგრაფიებით რათა დაემტკიცებინა კაუცკისათვის, რომ რუსეთ ან დაახლოებით საფრანგეთ მიზნათ ისახავდა არა მარტო ელზას ლორენის უკან დაბრუნებას, არამედ რაინის მთელი მარცხენა ნაპირის დაპყრობასაც, თუ ის გაიმარჯვებდა სარევანშო ომში რომლის მოლოდინში იყო ყველა.

მხოლოთ-ღა ირონიული ღიმილი შეუძლია გამოიწვიოს ყველაში ამ კამათის მოგონებამ დღეს, როდესაც სინამდვილემ გადააჭარბა ყოველ მოლოდინს და საფრანგეთის რევანშისტების ლუკმათ შეიქნა არა მარტო ელზას-ლორენი, საარის ქვანახშირის რაიონები ე. ი. მთელი მემარცხენე ნაპირი რეინის, არამედ მისი მემარჯვენე მხარის მიდამოებიც, რომლებსაც შეესია დღეს თეთრი და შავ-ყვითელ კანიანი მხედრობა საფრანგეთის იმპერიალიზმის, მძიმეთ შეიარაღებული თოფ ზარბაზნებით, ტანკებით და ჰაეროპლანებით.

იმ თავითვე ცხადი იყო ყველასათვის, ვინც დაბრმავებული არ იყო უპრინციპო პაციფიზმით ან და იმპერიალისტური იდეოლოგიების შოვინისტური დემაგოგიით, რომ ერთი რომელიმე კოალიციის გამარჯვებით დათავებულ დიდ ომს უნდა მოესპო სახელმწიფოთა მოწინააღმდეგე ჯგუფი. ეს ასეც მოხდა. დამარცხებული ცენტრალური ევროპის სახელმწიფოები შეიქნენ მსხვერპლი ანტანტის [illegible] იმპერიალიზმის, რომელმაც თავზე მოახვია გერმანიას ვერსალის ზავის პირობები.

სულ რომ არ ვილაპარაკოთ მომდევნო ამბებზე, უკვე ვერსალში შემუშავებული „კონსტიტუციის" ძალით გერმანიას ჩამოაჭრეს ათი პროცენტი მთელი მისი ტერიტორიის, ჩამოაკლეს ხუთმეტი პროცენტი მისი მოსახლეობის: წაართვეს ელზას-ლორენი, პოზნანი, დასავლეთ პრუსია და ზემო სილეზია. ხუთმეტი წლის (ასე იყო მაშინ დათქმული!) ვადით მას უარი ათქმევინეს საარის ქვანახშირიან რაიონებზე რომელიც მესამე ადგილი ეკავა გერმანიაში და რომელიც მის მრეწველობას აძლევდა 17 მილიონ ტონს იმ 190 მილიონი ტონის ქვანახშირის რაოდენობიდან, რომელსაც იძლეოდა საერთოთ გერმანიის მაღაროები.

გერმანიას წაართვეს, გარდა ამისა, კოლონიები და ყველა საზღვაო და [illegible] მასთან მთელი რაოდენობა კაპიტალის, რომელიც დაბანდებული ჰქონდა უცხოეთში. მას წაგლიჯეს სავაჭრო ფლოტი, რომლის მხოლოთ [illegible] პროცენტი დაუტოვეს და ისიც უვარგისი ნაწილი.

ამნაირად მას მოუსპეს როგორც ნედლი მასალის წყაროები, ისე [illegible] საშუალებანი და მოსწყვიტეს ის მთელ ქვეყნიერებას.

მაგრამ არც ეს აკმარეს [illegible] კოლოსს.

გერმანია გახდა ვალდებული ერთ მერვედზე მეტი მისი ქვანახშირის შემოსავლისა ე. ი. 25 მილიონი ტონა ეძლია წლიურათ საფრანგეთის ბელგიისა და იტალიისთვის. მას წაართვეს ხუთი ათასი ორთქლმავალი, ასობით ათასი ვაგონი, პირუტყვი და სხვა ნედლი მასალა.

ომის გამო გამოწვეულ ზარალის და ვერსალის „კონსტიტუციით" დაკანონებულ ძარცვა-გლეჯის შემდეგ გერმანიის ნაციონალურ სიმდიდრეს კიდევ ანგარიშობენ 150 მილიარდ ოქროს მარკათ, ე. ი. ის განახევრებული შეიქნა, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ომის წინ ეკონომისტები მის სიმდიდრეს აფასებდნენ 300 მილიარდ ოქროს მარკათ. მაგრამ ამ ქონებაზეც დაადეს ხელი.

საქმე იმაშია, რომ გამარჯვებულებმა თავს მოახვიეს გერმანიას ანაზღაურება იმ ზარალის, რომელიც მათ მიაყენა ომმა. ეგრედ წოდებული „სარეპარაციო" (სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით: დანგრეულის „შეკეთება") ხარჯების მიღება გერმანიისაგან შეიქნა იმ ცენტრალურ საკითხათ, რომელსაც თავს დასტრიალებდნენ და დასტრიალებენ დღესაც ანტანტის დიდი და პატარა კალიბრის ქურუმები. სხვადასხვა კომისიების მუშაობის შემდეგ გამოირკვეულ იქნა ოქროს ის რაოდენობა, რომელიც უნდა გადაეხადა გერმანიას გამარჯვებულებისა და დაზარალებულების სასარგებლოთ. ის უდრიდა 132 მილიარდ მარკას ე. ი. ცოტათი ნაკლებს იმაზე, რამდენიც დარჩენოდა მოკავშირე ხალხების მიერ უკვე [illegible] ქვეყანას. წლიური გადასახადი, რომელიც უნდა დაწყებულიყო შარშანწინ პირველი მაისიდან, უდრიდა: სამოცი წლის განმავლობაში [illegible] 1) მთელი [illegible] ნაწილს, 2) მთელი [illegible] პროცენტს და გარდა ამისა 3) 23 პროცენტს მთელი საგარეო ვაჭრობისას, რაც საერთოდ შეადგენდა 3 ნახევარ მილიარდ ოქროს მარკას. ხოლო რეპარაციო გადასახადის 52 პროცენტი უნდა მიეღო საფრანგეთს, რომლის [illegible] „ფრონტის" [illegible] ჯიბეში უნდა ჩასულიყო ნაწილი ამ თანხისას.

132 მილიარდის კონტრიბუცია—ეს ისეთი სიმძიმე იყო თავისთავად, რომ, მის ქვეშ მოყოლილი, გაისრისებოდა თვით ომის წინა დროინდელი გერმანია, არა თუ ჯერ ომით დაუძლურებული და შემდეგ კიდევ ათასგზით გაძარცვული ქვეყანა, მოწყვეტილი ფაქტიურად დღესაც [illegible] ცხოვრებისაგან, რომ [illegible] არ შეუძლია იქონიოს ნორმალური სავაჭრო ურთიერთობა კიდევაც რომ იძლეოდეს მას ამის საშუალებას ომითა და მისი შედეგებით გამოფიტული საწარმოო ძალები. ასეთ პირობებში დიდი გამჭრიახობა არ იყო საჭირო, რომ თავიდანვე [illegible] კაცს, რომ ამ 132 მილიარდის ზღაპრულ [illegible] ანდერძის მიღება [illegible] და ყინულზე იყო დაწერილი. და კიდევაც ამ პრემიერებმა [illegible] სხვა და სხვა „სარეპარაციო" და „საკონტროლო" კომისიების წევრთა [illegible] და მტკიცედ მოიკალათეს მათი ტვინის უჯრედებში ამის შედეგი იყო ის, რომ სარეპარაციო გადასახადები შემცირებულ იქნა სამჯერ უფრო ნაკლებით. მაგრამ ვინაიდან თვით ასე შემცირებული კონტრიბუციის წლიური გადასახადიც ვერ იქნა გადახდილი, და სხვა ნატურალური ვალდებულებაც დარჩა შეუსრულებელი, ამიტომ საბაბი მიეცა საფრანგეთს, დიძრა თავისი სამხედრო ძალები, რათა შეჭრილიყო გერმანიის ტერიტორიაში და დაეკავებინა ისეთი მნიშვნელოვანი სამთამადნო მრეწველობის რაიონი, როგორსაც წარმოადგენს რური და რომელიც ჰკვებავდა თავისი ნახშირით ოთხ მეხუთედ ნაწილს მთელი გერმანიის მრეწველობისას.

რომ საფრანგეთის იმპერიალიზმი დაინტერესებულია უმტკივნეულოთ მიიღოს სარეპარაციო ვალები გერმანიისაგან—ეს თავისთავად ცხადია, მაგრამ ბოლოს და ბოლოს თავისი „სანქციების", რომელიც გამოიხატა რურის დაკავებაში, ის ახორციელებს თავის უშუალო მიზანთან ერთათ (ძალდატანებით კონტრიბუციის მიღება) დიდ საქმეს, რომელიც [illegible] მაინც შეუსრულებელი დარჩა დღემდე, ე. ი. მთელი გერმანიის [illegible] განადგურებას. ომის დროს ამაზე შეიძლებოდა მხოლოთ ოცნება. საფრანგეთის სამხედრო კასტის ლოზუნგი: „à Berlin!" („ჩავიგდოთ ხელში ბერლინი!") ომის დროს განუხორციელებელი დარჩა საკმაოთ სერიოზული, ხელშესახები მიზეზების გამო: პრუსიის მილიტარიზმს ჯავშნიანი მუშტი თავის „ეფექტს" ახდენდა საფრანგეთის რევანშისტებზე. მაგრამ კოლოსი დაეცა. ის განიარაღებული იქნა. ხელფეხშეკრულის წინააღმდეგ მარშალი ფოში საკმაოთ ძლიერია დღეს. ას, „დირექტივა" მისცეს: მოჰკალი გერმანია—და ესეც თავის საქმეს შეუდგა, იმის მომიზეზებით, რომ „სიკვდილ მისჯილმა" ვერ შესძლო [illegible] მის თავზე მოხვეულ ვალდებულებათა შესრულება. ისედაც დამარცხებული და გაძვალ-ტყავებული გერმანია შეიქნება ამნაირად სრული გავერანების გზაზე.

ნ. ქ.

ამხ. ზინოვიევის მოხსენება

(პირველ რაიონში რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა საზოგადო კრებაზე).

თავის მოხსენების დასაწყისში, ამხ. ზინოვიევი კონფერენციის სახელით მიესალმა ტფილისის რკინის გზის მუშებს და მათი სახით საქართველოს ყველა მშრომელთ.

საქართველოს მენშევიკების მუხანათობა.

მან მოიგონა პირველ ყოვლისა ის დრო, როდესაც გამყოფელი მენშევიკების პოლიტიკის წყალობით საქართველოს მშრომელი ხალხი ხელოვნურათ ჩამოშორებული იყო მოძმე რუსეთის პროლეტარიატისაგან. მიუხედავათ იმისა, რომ საქართველოს განუწყვეტელი მჭიდრო ყოველგვარ კავშირი სჭირდა რუსეთთან, სოციალ გამყიდველების წყალობით, რუსეთის მშრომელნი და მისი ხელმძღვანელი კომუნისტური პარტია დარწმუნებული იყო იმაში, რომ ადრე თუ გვიან საქართველოს მშრომელი ხალხი რუსეთის პროლეტარიატთან ერთად, მასთან ხელი ხელ ჩაკიდებული იბრძოლებდა საერთაშორისო კაპიტალის წინააღმდეგ. ჩვენ ვიცოდით, ამბობს მოხსენებელი, რომ საქართველოში და საერთოდ ამიერ კავკასიაში რუსეთის მუშათა კლასს და კომუნისტურ პარტიას ჰყავდა ისეთი [illegible] მეგობრები და შეუდრეკელი მებრძოლნი საერთაშორისო მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის, როგორც იყვნენ მენშევიკების მიერ მუხანათურათ მოკლულნი ბაქოელი 26 ამხანაგი: შაუმიანი, ალიოშა ჯაფარიძე და სხვები. იმ დროს როდესაც ინგლისელები ლამობდნენ ბაქოს დაპყრობას და მით საბჭოთა რუსეთის სასიცოცხლო წყაროს მოსპობას, ამიერ კავკასიაში იყვნენ მრავალი ათასი გმირი და სწორეთ ამისათვის შეძლო საქართველოს მშრომელმა ხალხმა განთავისუფლება მენშევიკების უღლისა და ბატონობისაგან.

საერთაშორისო მდგომარეობა.

შემდეგ ამხ. მოხსენებელი გადადის საერთაშორისო მდგომარეობის დახასიათებაზე. იყო დრო, ამბობს ის, როდესაც მუშათა კლასი დაინტერესებული იყო მხოლოდ [illegible] და [illegible] გასცნობოდა და წარმოდგენა ჰქონდა საერთაშორისო ვითარებაზე, მაგრამ ახლა ისე შეიცვალა და შეიცვალა დღევანდელი გარემოებანი, რომ მუშათა კლასი ძალაუნებურათ იძულებული ხდება ბევრი წერილებით გაეცნოს და შეისწავლოს ეს საკითხები, რადგან ისინი ამ ჟამად ეხება ყველა კუთხე-კუნჭულში მცხოვრებ მშრომელთა ინტერესებს.

კვლავ ომის მოლოდინში

იმპერიალისტურმა ომმა შეარყია მუშათა კლასი, რომელიც გაიბნა და ყოველი მათგანი ფიქრობდა მხოლოდ თავის თავზე, არამედ სხვებზე დაც საერთაშორისო [illegible] ლოდინის გათავების შემდეგ პირველ შეხედვით თითქოს მოხდა რაღაც ახალი [illegible], მაგრამ სინამდვილეში მსგავსი არაფერი მომხდარა.

ფიცხლათ სადარაჯოზე.

უკანასკნელ დროს სახელმწიფოთა [illegible] კავშირით [illegible] საერთაშორისო [illegible] ამ მომენტში ჩვენ [illegible] სადარაჯოზე ფეხზე ვდგავართ. იმპერიალისტური ომის გათავების შემდეგ, ბურჟუაზიის ერთი ნაწილი ლაპარაკობდა დემოკრატიზაციაზე და მშვიდობიანობაზე, ასეთნაირად განწყობილ ბურჟუაზიის საუკეთესო წარმომადგენელად ითვლება ლოიდ ჯორჯი. ბურჟუაზია ხედავს, რომ ახალი იმპერიალისტური ომი ბოლოს მოუღებს ბურჟუაზიის უდიდეს ნაწილს და სწორედ აქედან გამოდის ის და ცდილობს მშვიდობიანობის დამყარებას, მაგრამ მან ლოიდ-ჯორჯის სახით იგემა სრული გაკოტრება. საფრანგეთი და გერმანია სული და გულია ევროპის როგორც წინათ საფრანგეთ გერმანიის ომის დროს, ისე ახლა ყოველივე რაც ხდება ამ ორ სახელმწიფოთა შორის თითქმის სავსებით განსაზღვრავს საერთაშორისო მდგომარეობას. გარემოებანი ისე ეწყობიან, რომ შესაძლებელია კაცობრიობას მოევლინოს მეორე სისხლიანი 1914 წელი.

გერმანიის მენშევიკების საქმენი საგმირონი.

გერმანიის რევოლიუციამ დაამხო ვილჰელმის ტახტი, მაგრამ იქ გაბატონდნენ სოციალ დემოკრატები. რამდენადაც ძლიერნი არიან მენშევიკები, იმდენად ძნელია ბურჟუაზიასთან ბრძოლა ამის საუკეთესო დამამტკიცებელია მარტის ამბები გერმანიაში, როდესაც ნაწილი გერმანიის მუშათა კლასისა იმ აზრის იყო, რომ არ დამყარდება ზავი სოციალისტური რევოლიუციის მხრივ, ისინი არ შეუთანხმდნენ მენშევიკებს და დაჰკარგეს საუკეთესო მეთაურები და შეურიგებელი მებრძოლნი. გერმანიის მენშევიკებმა და ბურჟუაზიამ ბევრი შეისწავლეს და ბევრად გამოცადეს.

გერმანიის მენშევიკებმა ისე გაიმეორეს ისეთი შეცდომები, როგორიც დაუშვა კერენსკიმ და წერეთელმა რუსეთში. გერმანიის მენშევიკებმა ამჯობინეს დათმობა ანტანტისათვის, ვიდრე თავის მუშებისათვის, და იმ ბურჟუაზიულ შეხედულებებით, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ ისინი, რა საკვირველია იყვნენ სრულიად მართალნი.

გერმანიის სოციალ-დემოკრატების მოღალატეობის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ის გარემოება, რომ, როდესაც გერმანიაში მოიფეთქა მუშათა რევოლიუციონური [illegible], მენშევიკებმა გამოიტანეს [illegible] ლოზუნგი [illegible] მათში, კონტრ-რევოლიუციონურ [illegible] და როდესაც [illegible] საბჭოთა [illegible] მოხსენიებულად [illegible] მათი და შემდეგ [illegible] გერმანიის [illegible] მუშათა ლასის დამარცხების მიზნით გერმანიის ბურჟუაზიამ ხელი მოაწერა ვერსალის ხელშეკრულებას, რომელსაც მიჰყავს კაცობრიობა ახალ სისხლის ღვრისაკენ.

რურის ოლქში

საფრანგეთმა უზრუნველჰყო თავისი თავი გერმანიის კონტრიბუციით. უკანასკნელად საქმე იქამდე მიიყვანა, რომ მან (საფრანგეთმა) თავისი ჯარებით დაიპყრო განიარაღებულ გერმანიის სამრეწველო რაიონი—რურის მხარე. რა მოჰყვება ამას დაბეჯითებით არ შეიძლება ითქვას, მაგრამ ფაქტია ის, რომ ეს გაარევოლიუციონერებს მუშათა მასებს და სასტიკად ამწვავებს მდგომარეობას. გერმანიის სოციალ დემოკრატები ნაცვლად იმისა, რომ დაარწმუნონ მუშათა კლასი ახალი სისხლის ღვრის შესაძლებლობაში და ამხედრონ ის საკუთარ ბურჟუაზიის წინააღმდეგ, მოუხმობენ მუშათ კლასს სამოქალაქო ზავისაკენ, გაერთიანებისაკენ.

მხოლოდ ერთი სწორი გზა.

ეხლა იმედი გვაქვს ვიფიქროთ, რომ გერმანიის პროლეტარიატი წარსული დამარცხების შემდეგ აღარ გაიმეორებს ძველ შეცდომებს და დარწმუნდება მასში, რომ გზა არჩეული კომუნისტურ პარტიის მიერ არის სწორი და ერთად ერთი, დარწმუნდება იმაში, რომ ბურჟუაზიის ცდამ ქსოფლიოს წონასწორობის აღდგენისათვის იგემა სრული დამარცხება და გაკოტრება და შეუძლებელია ამ წონასწორობის აღდგენა სოციალისტურ რევოლიუციის გარეშე. იგივე სურათები იშლება სხვა ქვეყნებშიაც იტალიაში 18 და 19 წლებში ადგილი ჰქონდა დიდ რევოლიუციონურ მოძრაობებს. მუშათა კლასმა დაიპყრო ქარხნები, გლეხობამ მიწები და იგივე მენშევიკების წყალობით თითქმის ძალდაუტანებლად მუშებს ხელი აალებინეს ქარხნებზე და ფაბრიკებზე.

ბურჟუაზიის შემოტევა.

1921 და 22 წლებში კი ბურჟუაზია უკვე თვითონ გადადის შეტევაზე, რაც გამოიხატა ფაშიზმში. შექმნეს თეთრი გვარდია, რომელსაც მეთაურობს ყოფილი სოციალ-დემოკრატი მუსოლინი.

ვის ემსახურებიან მენშევიკები?

ყველა ქვეყნებში, სადაც მდგომარეობა ბურჟუაზიისა და მუშათა კლასის შორის გამწვავებულია, ბურჟუაზია ცდილობს ხელში მოიგდოს მენშევიკები, რათა გადამწყვეტ წუთებში დაიხმაროს ის მუშათა კლასის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ეს აიხსნება მუშების შეუგნებლობით. ისინი უნდობლობით ეპყრობიან კაპიტალისტებს, მაგრამ ნდობით ეპყრობიან იგივე კაპიტალისტების დამცველთ, სოციალისტურ ქურქში გადაცმულ—სოციალ-დემოკრატებს—მენშევიკებს მაგრამ ბოლოს და ბოლოს თანდათან მენშევიკურ რიგებში მდგომი მუშები, თვით ცენტრალურ კომიტეტის წევრებიც კი რწმუნდებიან თავიანთ შეცდომებში და გადმოდიან კომუნისტურ რიგებში.

საბჭოთა ხელისუფლება ძმურად ღებულობს მათ ამ შემთხვევებში საქმე წყდება არა რეპრესიებით არამედ დარწმუნებისა და ჩაგონების მეთოდებით.

[illegible] მზათ ყოფნა.

საერთაშორისო მასშტაბით ხდება დიდი ამბები და ეხლა გვმართებს მზად ყოფნა სოციალისტურ რევოლიუციის ინტერესების სადარაჯოზე.

რუსეთი, რომელმაც გადაიტანა მრავალი გაჭირვებანი, დღეს ძლიერია ეკონომიურად და ფიზიკურად, მუშების მდგომარეობა დიდად გაუმჯობესებულია.

მძიმე ამოცანები გერმანიაში.

მაგრამ მეტად მძიმეა გერმანიის მუშათა კლასის მდგომარეობა. **ამხ. [illegible], საუკეთესო [illegible] გერმანიისათვის ამ ჟამად [illegible] სოციალისტური რევოლიუცია და წითელი არმიის ორგანიზაცია.**

ჩვენი ამოცანას წარმოადგენს—დავარწმუნოთ მუშათა კლასი, რომ დღეს თუ ხვალ ქსოფლიოს წონასწორობა საბოლოოდ დაირღვევა და გადამწყვეტი როლი მიეკუთვნება რუსეთის პროლეტარიატს. საქართველოსაც აქვს ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა, ათავებს სიტყვას ამხ. ზინოვიევი, ის წარმოადგენს მნიშვნელოვან გირას, რომელიც დაიდება იმ სასწორის ჯამზე, რომელსაც ეწოდება სახელად „სოციალისტური რევოლიუცია."

მოხსენების დროს მრავალჯერ შეაწყვეტინეს ორატორს სიტყვა ოვაციებით, გაუმარჯოს და ვაშას ძახილით.

უპასუხებს რა წერილებით შეკითხვებზე ზინოვიევი ეხება უმთავრესად მენშევიკურ შეკითხვებს, [illegible] ანგრევს რა მენშევიკურ იდეოლოგიის არგუმენტებს, ორატორი ააშკარავებს მენშევიკური „დამოუკიდებლობის" მოჩვენებით ხასიათს, რომელიც დამყარებული იყო ინგლისის იმპერიალიზმისა და დენიკინთან შეთანხმებაზე, ამხ. ზინოვიევი მოუთხრობს, რომ ამას წინად გამოვიდა დენიკინის წერილები, სადაც ეს შავრაზმელი ლაპარაკობს მენშევიკურ მინისტრ გეგეჭკორთან დადებულ ხელშეკრულების შესახებ, რომლის დადების დროსაც დენიკინი არაფერს არ სთმობდა, „დამოუკიდებლის" საქართველოს მინისტრი კი ძალიან ბევრს.

ორატორს მოჰყავს მენშევიკური ბატონობის პატარა სურათი, მაგრამ მეტად დამახასიათებელი ცნობები: თუ როგორ თან და თან შეიცვალა წითელი დროშა შინდის ფერად, თუ როგორ იყო დაბინავებული მუშათა დღევანდელ სასახლეში ინგლისელების შტაბი და სხვა.

დასასრულს ერთხმად მიღებულ იქნა შემდეგი შინაარსის

რეზოლიუცია

მოისმინა რა ამხ. ზინოვიევის მოხსენება ქ. თბილისის 1 რაიონის მუშათა საზოგადო კრება სიხარულით ესალმება და უსაზღვრო სიხარულს გამოსთქვამს რუსეთის და კერძოთ პეტროგრადის პროლეტარების წინაშე, რომელთაც პირველად აფრიალეს ოქტომბრის რევოლიუციის დროშა და ჩაუყარეს საძირკველი საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირს.

ამხ. ზინოვიევის სახით ჩვენ მივესალმებით საერთაშორისო მებრძოლ პროლეტარიატს, რომელიც იბრძვის კაპიტალიზმის [illegible]. ჩვენ ღრმა აღშფოთებას გამოვთქვამთ საფრანგეთის ბურჟუაზიული მთავრობის ცდის წინააღმდეგ, ჩაითრიოს კაცობრიობა ახალ სისხლის მღვრელ ომში, რურის ოლქში შეჭრის საშუალებით, და ამავე დროს ვთქვამთ რწმენას, რომ მსოფლიო რევოლიუციის გენერალური შტაბი III კომინტერნი ხელს შეუშლის ამ ავანტიურულ ცდას, გამოიყენებს ამ შემთხვევას და [illegible] კაპიტალიზმს, [illegible] „მშვიდობიან" საფრანგეთის [illegible] წინააღმდეგ, იმ მთავრობის, რომელიც [illegible] კომუნისტური [illegible], ოსმალეთის და სხვებისას, ჩვენ მოვითხოვთ დაუყოვნებლივ მათ განთავისუფლებას ძირს ბურჟუაზიული იმპერიალისტური მთავრობა, და მათი მომხრე—სოციალ დემოკრატიული ლი მენშევიკური ლაქიები 2 და 2½ ინტერნაციონალიდან, რომლებიც ახალ სისხლის ღვრას უმზადებენ კაცობრიობას.

გაუმარჯოს პროლეტარიატის ბრძოლას და მის შტაბს 3 მე კომუნისტურ ინტერნაციონალს!

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას მთელ [illegible]!

შრომის ახალი კანონთა კოდექსი

VII

(დასასრული)

სამუშაო დრო. ბავშვების და დედაკაცების შრომა შრომის დაცვა წარმოების პირობების მხრივ.

სამუშაო დრო, კოდექსით ისაზღვრება 8 საათით ეს არის მაქსიმალური ნორმა. მისი შემცირება (და არა გადიდება) დასაშვებია ურთიერთ შეთანხმებით.

გონებრივათ მომუშავეთა და მცირე წლოვანთათვის 16—18 წლამდე მიღებულია 6 საათი.

იქ სადაც გონებრივი (კანტორის) მუშაობა დაკავშირებულია წარმოებასთან, სადაც 8 საათია მუშაობა, 6 საათის მაგივრათ მუშაობა უნდა წარმოებდეს რვა.

მიწის ქვეშ (მაღაროებში) და სხვა, ჯანმრთელობისათვის საზიანო, სამუშაოთათვის, შრომის კომისარიატის განსაკუთრებული დადგენილებით [illegible] შემოკლებული სამუშაო დღე 6 და 7 საათის.

სამუშაო დრო არ ისაზღვრება პასუხისმგებელ მომუშავეთათვის, რომელთა კატეგორიას აწესებს შრომის კომისარიატი კავშირებთან შეთანხმებით.

კოდექსის მიხედვით ღამით მუშაობა მცირდება ერთი საათით. 8 საათიან სამუშაო დღის ერთი საათის მუშაობა ითვლება ხელფასის გამოანგარიშების დროს 8 | 7 ით, ექვსი საათის დროს 6 | 5 ით.

ნორმალურ საათების ზევით მუშაობა, კოდექსის ძალით აკრძალულია, მხოლოდ ზედმეტ საათების მუშაობა დაშვებულია რამე უბედურებების თავიდან ასაცილებლად და [illegible], მანქანების და სხვა მოწყობილობის შესაკეთებლად, თუ კი მათი გაფუჭებით, შეჩერდება საერთო მუშაობა.

მთელი წლის განმავლობაში ზედმეტი მუშაობის საათები არ შეიძლება მეტი იქნას 120 ზე.

კოდექსი უკრძალავს დამქირავებელს აანაზღაურებინოს მომუშავეს ზედმეტი მუშაობით, დაგვიანებით დაკარგული დრო.

კოდექსი აწესებს მომუშავეთათვის პერიოდულ დასვენებებს ყოველკვირეულს (42 საათისას) და წლიურს ორი კვირის შვებულებას. აქამდე არსებული კანონებით წლიური შვებულების ხანგრძლივობა ერთი თვით განისაზღვრებოდა. ახალი კოდექსით კი ის მცირდება. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ეს მინიმუმია და შეთანხმების საშუალებით შეიძლება მისი გადიდება, ახალი კოდექსით შვებულების შემოკლებას [illegible] ადგილი არ აქვს.

ამას გარდა მთელ რიგ წარმოებებში და დაწესებულებებში სხვა და სხვა პროფესიის მომუშავეთათვის, რომელთა შრომა ძლიერ მავნეა და ორგანიზმზე ცუდ გავლენას ახდენს, კოდექსი აწესებს დამატებით ორი კვირის შვებულებას.

მცირე წლოვანთათვის 18 წლამდე შვებულების ხანგრძლივობა განისაზღვრება არა ორი კვირით, როგორც ყველასათვის, არამედ ერთი თვით.

წლიური მორიგი შვებულების მისაღებად, კოდექსით, საჭიროა 5 ნახ. თვის განმავლობაში განუწყვეტელი მუშაობა. განუწყვეტლად შეიძლება ჩაითვალოს სხვა და სხვა დაწესებულებაში მუშაობა, თუ კი გადასვლის დროს ადგილი არ ჰქონდა მუშაობის შეწყვეტას.

იმ შემთხვევაში, როცა კუთვნილი შვებულებით მომუშავემ ვერ ისარგებლა წლის განმავლობაში, მას უფლება აქვს მეორე წელს ორმაგი შვებულების სარგებლობისა (ძველი წლის და ახლის). ასეთი შეერთება შეიძლება [illegible] არა უმეტეს ორი შვებულებისა.

მორიგი წლიური შვებულება არ ეხება იმ შვებულებას, რომელიც შეიძლება მიეცეს მუშას ავადმყოფობის გამო. მაგალითად თუ მომუშავე წლის განმავლობაში ავად იყო ორი თვე, ამის გამო მას არ ესპობა უფლება მორიგი შვებულების მიღებისა.

საერთო დასასვენებელ (კვირის დღეებ) და უქმე დღეების წინა საღამოს მუშაობის საათების რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს 6 საათს. ხელფასი კი რჩება სრული სამუშაო დღის. ვინც ნაშრომით მუშაობს მათ უნდა მიეცეთ ორი საათის განსხვავება, იმის გარდა რასაც ისინი დაიმუშავებენ ექვსი საათის განმავლობაში.

გაცდენილ კვირა უქმე დღეების ხელფასი არ დაეკავებათ მათ, ვინც სამუშაო ქირას თვიურათ იღებენ.

ბავშვების და დედაკაცების შრომა

განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს კოდექსი, ბავშვების და დედაკაცების შრომას.

კოდექსით აკრძალულია 16 წლიანზე ნაკლების მიღება, განსაკუთრებულ შემთხვევებში, არა ნაკლებ 14 წლიანისა, შეიძლება სამუშაოზე დაშვება, ისიც მხოლოდ შრომის ინსპექტორის ნებართვით. (ვინც უკვე მუშაობს, ისინი რჩებიან).

16 18 წლიანებისათვის სამუშაო დრო ისაზღვრება 6 საათით, 16 წლამდე კი 4 საათით. ხელფასი კი შემოკლებულ სამუშაო დღეზე რჩება სრული (იმ კატეგორიის მიხედვით, რომელსაც ეკუთვნის მცირე წლოვანი).

მცირეწლოვანებს ღამით და ზედმეტ მუშაობაზე დაშვება, როგორც საერთო წესი, აკრძალულია.

მცირე წლოვანებს (18 წლამდე) ეძლევათ ორი კვირის დამატებითი შვებულება წლის განმავლობაში.

ასეთი შეღავათიანი პირობები, სასარგებლო არ იქნება წარმოებისა და დაწესებულებებისათვის, რაც გამოიწვევს მომუშავე მცირეწლოვანთა რიცხვის შემოკლებას.

კოდექსს ეს გათვალისწინებული აქვს და შრომის კომისარიატს და პროფკავშირების საბჭოს აძლევს უფლებას დააწესონ სხვა და სხვა საწარმოთა დარგისათვის მცირე წლოვანთა სავალდებულო მინიმალური რიცხვი, რაც მომავლისათვის წარმოებას უზრუნველყოფს საკმაო კვალიფიკაციონური მომუშავე ძალით.

შეგირდობის შესახებ კოდექსში მთელი თავი არის, სადაც ნაჩვენებია წესი შეგირდების ყოლისა, მისი ხანგრძლივობა და სხვა.

ქალების შრომაც სათანადოთ დაცულია. მძიმე, ღამით, და ჯანმრთელობისათვის საზიანო მუშაობებზე მათი დაშვება აკრძალულია.

კოდექსით აკრძალულია აგრეთვე ორსული და ძუძუ მწოვარ ქალების ზედმეტ სამუშაოებზე დაშვება.

ფიზიკურათ მომუშავე ორსულ ქალებს ეძლევათ 8 კვირა მშობიარობამდე და 8 კვირა მშობიარობის შემდეგ, ხოლო გონებრივათ მომუშავეთათვის 6 კვირა მშობიარობის წინ და ექვსი შემდეგ. (გონებრივათ მომუშავეთა ზოგიერთი პროფესია უთანაბრდება შვებულების ხანგრძლივობაში ფიზიკურათ მომუშავეებს).

ამას გარდა ძუძუთი მკვებავ ქალებს ეძლევათ ყოველ 3 ნახ. საათის განმავლობაში თავისუფლება არა ნაკლებ ნახევარი საათისა ბავშვის ძუძუ საწოვებლათ. ეს თავისუფლება ჩაითვლება სამუშაო დროში.

შრომის დაცვა წარმოების პირობების მხრივ.

მომუშავის ჯანმრთელობა და შრომის ნაყოფიერება დამოკიდებულია მასზე, თუ რამდენით კარგია შრომის პირობები—სამუშაო ადგილის მოწყობილება. კოდექსი ამას ითვალისწინებს და ამიტომ ის ავალებს ყველა სამრეწველო ხასიათის შენობების აგების ან დიდი რემონტის დროს, მიიღონ სანქცია შრომის და ტექნიკური ინსპექციის, რომლებსაც წესიები შეაქვთ პრაქტიკაში სანიტარულ-ტექნიკური და ტექნიკური თვალსაზრისით (სინათლე, სიცხე, ჰაერი, სითბო, ვენტილაცია, სისუფთავე, სიმშრალე და სხვა).

ჯანმრთელობისათვის საზიანო სამუშაოებზე, მომუშავეებს უნდა ეძლეოდეთ თავდასაცავი საგნები. იქ სადაც საწამლავთან აქვთ საქმე, მომუშავეთ უნდა მიეცეთ საწინააღმდეგო წამალი წარმოების ხარჯზე (რძე, კაკაო და სხვ.)

ყველა შრომის კანონების ცხოვრებაში გატარებაზე თვალყურისდევნება, კოდექსი ავალებს შრომის კომისარიატს, შრომის ინსპექციას, რომელიც ირჩევა პროფესიონალური კავშირების მიერ. ტექნიკური და სანიტარული დაკვირვების საკითხებისათვის კი შრომის ინსპექციასთან არსებობს სანიტარული და ტექნიკური ცალკე ინსპექცია (ექიმები და ინჟინრები).

შრომის, სანიტარული და ტექნიკური ინსპექციის უფლება აქვთ წინადადება მისცენ წარმოების დაწესებულებებს, როგორც კერძოს ისე სახელმწიფოებრივს, შენიშნულ დეფექტების (შრომის საკითხში) გამოსწორების შესახებ და პასუხისგებაში მისცენ შრომის კანონების დამრღვევი პირნი.

ს. გოდაბრელიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბანდით-დეპეშები

მოსკოვი—კრემლი

(დეპეშა)

ტფილისის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს

ჩემ მიერ გაუქმებულია შრომის და თავდაცვის საბჭოში დადგენილება, შეტანილი 1923 წლის ბიუჯეტში, ერთი მილიონი ოქროს ხ ნაწილობრივ ხარჯის მიცემა ამიერ კავკასიის სოციალისტურ საბჭოთა სახალხო კომისართა საბჭოს, ტფილისის საბჭოთა ჰიდრო-ელექტრონის სადგურის ასაგებად თფილისში და ჩქარით მიეცეს ავანსის სახით ორასი ათასი ოქროთი.

შრომის და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე—რიკოვი.

რურის ოლქის ოკუპაცია

სულთამხუთავების ახალი რაზმები.

პარიზი 25 იანვ. საფრანგეთის სამხედრო სამინისტრომ გამოაცხადა პარიზში, რომ რურის რკინის გზებზე გაფიცვის გამო სადამოს რურში გაიგზავნება 8750 საფრანგეთის რკინის გზის თანამშრომლები.

პარიზი 25 იანვ. მაინცში მოხდა დემონსტრაცია რურის მრეწველების გასამართლების წინააღმდეგ. დემონსტრაცია გაფანტა საფრანგეთის ცხენოსანთა ჯარმა, დააპატიმრეს რამოდენიმე პირი.

რკინისგზელთა გაფიცვები.

ბერლინი 25 იანვარი იტყობინება რკინისგზელთა გაფიცვების შესახებ ვიზბადენში, მაინცში და აშაფენბურგში.

რკინისგზელთა გამარჯვება.

რომი 25 იანვარი. დორტმუნდში ხ საფრანგეთის ხელისუფლებასთან შეთანხმების შემდეგ, რომლითაც უკანასკნელი ვალდებულია არ ჩაერიოს მატარებლების მიმოსვლის საქმეში. რკინისგზელებმა განაახლეს მუშაობა.

გაფიცვა ესსენში.

რომი. 25 იანვ ესსენიდან იტყობინებიან, რომ იმის შემდეგ, რაც გენ. დეგუტმა უარი სთქვა ხელფასის მიღებაზე მუშების და მოსამსახურეების დელეგაციის მიღებაზე, რომელიც მოითხოვდა თავის ხელფასის განთავისუფლებას, იქაურმა მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს.

რაზმების გადაჯგუფება

ლონდონი. 25 იანვ. მოხდა სამხედრო რაზმების გადაჯგუფება, რათა უფრო მჭიდროდ შემოარტყან ჯარი რურის ოლქის რკინის გზებზე და ნახშირის ტრანსპორტზე. ბოხუმში, ესსენში და დორტმუნდში ტელეფონები და ტელეგრაფები საფრანგეთის აგენტების მიერ არიან დაკავებული.

ახალი უმაღლესი სულთამხუთავი.

მანჰეიმი. 26 იანვ. საფრანგეთს განზრახული აქვს რურის ოლქში უმაღლესი კომისრის თანამდებობა. ამ თანამდებობაზე განზრახულია ცნობილი გენერალ გუმანის დანიშვნა რომელიც დიდი ხნიდან [illegible] რურის [illegible].

პარიზი 15 იანვ. მაინცში სამხედრო სასამართლომ შულცეს და დიუსელდორფის მიუსაჯა ერთი წლის ციხე.

კერძო საკუთრების დასაცავად.

რომი. 25 იანვარი. იტალიის მისია საფრანგეთში მიუთითებს იტალიის მთავრობას საფრანგეთში მცხოვრებ იტალიის მოქალაქეთა მძიმე მდგომარეობაზე, რომელიც შეიქმნა მას შემდეგ, რაც საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ გამოსცა კანონი უცხოელების კერძო საკუთრების იძულებითი დაბეგვრის შესახებ.

ნიუ-იორკი 25 იანვარი. საფრანგეთის პრესა აქცევს ყურადღებას იმ დაბრკოლებებს, რომელიც საფრანგეთს ახლო მომავალში მოელის. პრესა გამოთქვამს შეხედულებას, რომ ნახშირის გადატანა რურიდან საფრანგეთში [illegible] ვინაიდან გადატანისაგან უმნიშვნელო იქნება შემოსავალი.

დიდ ბრიტანეთის ყურადღებას იწვევს საფრანგეთის შინაური მდგომარეობა.

პარიზი. 25 იანვარი. ფოლკსის სააგენტოს ცნობით საფრანგეთის სამხედრო ხელისუფლებამ სასტიკად აკრძალა ხორცის და ხორცის რეკვიზიცია.

— ბერლინის გაზეთების ცნობით საფრანგეთის ხელისუფლება მოელის ახალ დაპატიმრებებს რურის მოხელეთა შორის.

ტისენის პროცესი.

მაინცი 25 იანვ. გუშინ მაინცში დაიწყო პროცესი, რომელიც აღძრულია ტისენის და სხვა 5 მაღაროს პატრონის წინააღმდეგ. ბრალს სდებენ ტისენს, ხუსტერს, ვუსტრეფს, ოლფენს და სპინდლერს. სასამართლოში ტისენმა განაცხადა, რომ ის როგორც გერმანიის ქვეშევრდომი, შესაძლებლად სცნობს დაემორჩილოს მხოლოდ გერმანიის მთავრობის ბრძანებას. ასეთივე განცხადებით გამოვიდნენ დანარჩენი ბრალდებულები. საფრანგეთის სამხედრო ტრიბუნალმა ბადიშმა გასცა ბრძანება, რათა გადიდდეს [illegible] გამოტანა.

ახალი დაბრკოლებები.

მანჰეიმი. 25 იანვ. ვისბადენში სატყეო უწყების მუშებმა და მოსამსახურეებმა უარი განაცხადეს საოკუპაციო ხელისუფლებას, რომელიც იქ შევიდა 23 იანვარს, უწყების დოკუმენტების ჩაბარებაზე და საფრანგეთის კომისიასთან თანამშრომლობაზე.

მდგომარეობა მწვავდება.

მანჰეიმი. 24 იანვ. მდგომარეობა რურის ოლქში თანდათან მწვავდება, იმის გამო, რომ გაიფიცა სტინესის და სხვა მაღაროების 18.000 მუშა. გაფიცვა გამოიწვია საფრანგეთის საოკუპაციო მთავრობის მიერ მუშათა დელეგატების მიღებაზე უარის თქმამ. დელეგატებს უნდა მოეთხოვნათ მაღაროების პატრონების განთავისუფლება. მაინცში ხელმძღვანელების დაჭერის გამო მოსალოდნელია ახალი მუშების გაფიცვა.

მუსოლინი რურის შესახებ.

პარიზი 24 იანვარი. მინისტრთა საბჭოში მუსოლინიმ გააკეთა მოხსენება იმ გარემოებათა შესახებ, რამაც გამოიწვია მოკავშირეთა თანამშრომლობა რურში. მუსოლინიმ განაცხადა, რომ იტალიის შუამავლობა არ აისრულა. იტალიის მთავრობამ აცნობა გერმანიის მთავრობას იმ საფრთხის შესახებ, რომელიც მას მოელის შექმნილი მდგომარეობის წყალობით. ამავე დროს მოკავშირეებთან მოლაპარაკებით [illegible] ბაზე. შემდეგ მუსოლინიმ სთქვა, რომ მორატორიუმის საკითხში პუანკარემ მიიღო იტალიის მემორანდუმის რამდენიმე ძირითადი მუხლი.

საოკუპაციო ზონა.

პარიზი. 24 იანვარი დიუსელდორფიდან უკანასკნელ ცნობების თანახმად, 1 თებერვლიდან საფრანგეთის საოკუპაციო ზონა გაფართოვდება რეინის ხიდამდი კობლენცთან.

რურის ერთიანი ფრონტი.

მანჰეიმი. 24 იანვ. მთელი რური წარმოადგენს მუშათა ერთიან ფრონტს, რომელიც განსაკუთრებით გამაგრებულია იმ ადგილებში, სადაც ფრანგები უფრო უხეშათ ერევიან მაღაროების საქმეებში.

წინააღმდეგობის ზღვარი

მანჰეიმი 24 იანვ. თავისუფლად დატოვებულმა მაღაროების პატრონებმა განაცხადეს, რომ ისინი შეასრულებენ მხოლოდ და მხოლოდ გერმანიის მთავრობის განკარგულებებს, იმ შემთხვევაშიაც კი, თუ ყველა ხელმძღვანელები დატუსაღებული იქნებიან თუ ოკუპანტები ფიქრობენ გერმანელებისთვის შეურაცხყოფის მიყენებს იმ მიზნით, რომ მათ დაშინებით დააყენონ ისინი დათმობის და მორჩილების გზაზე, იმ შემთხვევაში ისინი სასტიკ წინააღმდეგობას შეხვდებიან.

ბოიკოტი.

მანჰეიმი 24 იანვ. გერმანიის მსხვილი მრეწველობის ცენტრალურმა კავშირმა გადასწყვიტა დაუყოვნებლივ შესწყვიტოს სავაჭრო და საქმიანი ურთიერთობა საფრანგეთსა და ბელგიასთან

[illegible]

მანჰეიმი. 25 იანვ. საფრანგეთიდან მიღებულ ცნობებით, რურის ოლქში პურის და ხორცის მარაგი თითქმის გათავდა.

რეინის ხეობის ხელში ჩაგდება.

ლუდვიგსჰაფენი. 24 იანვ. ლიუდვიგსჰაფენში მაინჰეიმის მახლობლად, საფრანგეთის ხელისუფლების მიერ დაკავებული იქნა რეინის სანაოსნო [illegible] სამხედრო საბჭომ ესეც შ დაადგინა მიიღოს მთელი რიგი ზომებისა რურის რაიონში.

10 დღე ოკუპაციისა.

მანჰეიმი. 23 იანვ. გერმანიის პრესა ჯამს უკეთებს რურის ათი დღის ოკუპაციას ამ დღეების განმავლობაში ფრანგებმა შეიყვანეს რურის ოლქში ჯარები, დააპატიმრეს მაღაროების 10 დირექტორი, ოლქის საფინანსო განყოფილების გამგე, ფოსტის, საბაჟოს და რკინის გზების მოსამსახურეების მთელი რიგი, შეიყვანეს მაღაროებში ჯარის ნაწილები, მიიყვანეს მუშები გაფიცვამდე, შეაჩერეს რკინის გზებზე მატარებლები, სულ ერთიან შესწყვიტეს რკინის გზის მოძრაობა, დაიკავეს 1 მუშა ბოხუმში და 1 სანიტარ ლანგენდრესერში, დაიკავეს ყველა მუშათა კლუბები და დასასვენებელი სახლები და... ვერ შესძლეს ვერც ერთი ფუთი ნახშირის გატანა საფრანგეთში.

რურის ოლქის ოკუპაციის გარშემო

უთანხმოება ამერიკის კაბინეტში

რომი. 25 იანვ ნიუ-იორკიდან იტყობინებიან, რომ მიუხედავად ხელისუფლების [illegible] ცნობის უარყოფისა, ამერიკის კაბინეტში არიან უთანხმოება საგარეო პოლიტიკის საკითხებში.

„ლოდინის შერჩევის პოლიტიკა“.

რომი, 25 იანვ. ვაშინგტონიდან იტყობინებიან, რომ სენატორი ბორა ილაშქრებს საფრანგეთის პოლიტიკის წინააღმდეგ. ბორა მოითხოვს, რათა ამერიკის მთავრობამ გამოვიდეს ოფიციალური პროტესტით რურის ოკუპაციის წინააღმდეგ მიუხედავად ამისა ამერიკის კაპიტალისტური წრეებიდან იტყობინებიან, რომ ამერიკის მთავრობა უარს ამბობს ასეთ გამოსვლაზე და მომავალში კვლავ განაგრძობს „ლოდინის შერჩევის პოლიტიკას“.

[illegible] შეხვედრა.

პარიზი. 25 იანვ. გერმანიის მთავარ ქალაქებში გრძელდება მტრული განწყობილება ფრანგების და ბელგიელების მიმართ. ასე, მაგალითად ბერლინში და მიუნხენში სასტუმროების მეპატრონეებმა უარი განაცხადეს მოკავშირეთა მისიებისათვის ბინების დათმობაზე.

მუსოლინის მოხსენება.

ბერლინი. 25 იანვარი. ორშაბათს მინისტრთა საბჭოს სხდომაზე, მუსოლინიმ გააკეთა ვრცელი მოხსენება რურის ოლქის მდგომარეობის შესახებ. მუსოლინიმ აღნიშნა, რომ იმ ნახშირის მარაგის რეკვიზიცია, რომელიც მოიპოვებოდა ქარხნებში, მაღაროებში და სადგურებში და აგრეთვე სამხედრო და პოლიტიკური ხასიათის ზომები გამოწვეული იყო საფრანგეთ-ბელგიის ჯარებისადმი გერმანიის წინააღმდეგობით.

მუსოლინიმ დაუმატა: „იტალიის ინჟინრები გაიგზავნენ ერთად-ერთი მიზნით, რათა მონაწილეობა მიეღოთ ეკონომიურ და საკონტროლო ოპერაციებში. მათ მიიღეს ბრძანება, რათა დაკმაყოფილებულიყვნენ მხოლოდ თანამშრომლობით ტექნიკური ხასიათის ოპერაციებში. ჩვენი პოზიცია თავიდანვე ნათლად გარკვეული იყო და ასევე გადმოცემული პარიზში. საფრანგეთ-გერმანიის შორის იტალიის შუამავლობის შესახებ გავრცელებულ ხმების გამო, მუსოლინიმ განაცხადა: „იტალიის მთავრობას არ შეუძლია ამ ჟამად თავისი პოზიციის შეცვლა“. შემდეგ რა საკონტრიბუციო კომისიაში წარდგენილ მორატორიუმ გერმანიისათვის, მუსოლინიმ განაცხადა, რომ ამ პროექტში მოიპოვება იტალიის მემორანდუმის ზოგიერთი ძირითადი დებულებები, რომელიც წარდგენილი იყო ლონდონის თათბირზე, ესე იგი, ორი წლის მორატორიუმი და სესხი გერმანიისათვის. მუსოლინიმ დასასრულს აღნიშნა, რომ ამერიკის რეინის ოლქიდან ჯარების გაწვევით არ შეუცვლია თავისი პოზიცია.

გერმანიის ამბები

ემისია გერმანიაში.

მანჰეიმი. 25 იანვარი. იანვრის მეორე ნახევარში გერმანიის ემისია გაიზარდა 1 ნახ. ბილიონ მარკამდე.

საკონტრიბუციო კომისიაში.

პარიზი, 25 იანვარი. საკონტრიბუციო კომისიამ დაიწყო განხილვა მორატორიუმის საფრანგეთის პროექტის შესახებ.

ლოზანის კონფერენცია

ლონდონი. 25 იანვ. ოსმალეთის დელეგაციის მიერ კერზონის წინადადების უარყოფა, მოსულის საკითხის ერთა ლიგის არბიტრაჟისათვის გადაცემის შესახებ, გავლენას არ იქონიებს ლოზანის კონფერენციის მიმდინარეობაზე. საზავო ხელშეკრულების პროექტი მოკავშირეთა პირობებით, დანიშნულ ვადაზე ადრე გადაეცემა ოსმალეთს და ხელშეკრულებაში იქნება მუხლი მოსულის საკითხის ერთა-ლიგისათვის გადაცემის შესახებ. ამის შემდეგ ოსმალებს მიეცემათ შესაძლებლობა ან მიიღონ ეს მუხლი, ან დარჩნენ თავიანთ ძველ პოზიციაზე.

მოკავშირეთა დელეგატების თათბირი.

ლონდონი. 25 იანვ. დღეს გაიმართა თათბირი ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის დელეგაციების შორის იმ მდგომარეობის საკითხის განსახილველად, რომელიც შეიქმნა მოსულის საკითხში ერთა ლიგის არბიტრაჟზე ოსმალეთის მიერ უარის თქმის გამო.

მოკავშირეები მოითხოვენ კონტრიბუციას.

ლონდონი. 25 იანვ. ლოზანის კორესპონდენტის ცნობით, მოკავშირეები მოითხოვენ ოსმალეთისაგან, რათა უკანასკნელმა ხაზი გაუსვას [illegible] ნაგული ბრძოლის კონტრიბუციის [illegible] ძირითადი ვალიდან 15 მილ. გირ. სტ. მოითხოვენ 30 მილ. გირვანქა ნაცვლად.

[illegible]

ლონდონი. 25 იანვ. კერზონის წინადადების გამო, მოსულის საკითხის ერთა ლიგის არბიტრაჟისათვის გადაცემის შესახებ, გაზ. „დეილი ტელეგრაფი“ სწერს: „ეს წინადადება არის გამოწვეული იმით, რომელსაც ყველა მხარეს დაუჭერს ბრიტანეთის მთავრობა“.

საზღვრების საკითხის განხილვა გრძელდება.

რომი. 25 იანვ. ლოზანის კონფერენციაზე გრძელდება ოსმალეთის, სირიის და მესოპოტამიის საზღვრების განხილვა.

ოსმალების პოზიცია მოსულის საკითხში.

რომი. 25 იანვ. დღევანდელ სხდომაზე ისმეთ-ფაშამ მოითხოვა მოსულის ოსმალეთისათვის გადაცემა, ამასთანავე ოსმალეთი საშუალებას მისცემს ინგლისს აწარმოოს ამ ოლქში ნავთის ექსპლოატაცია. ერთა ლიგის არბიტრაჟის ნაცვლად ოსმალეთი წინადადებას იძლევა, რათა მოსულის საკითხი პლებისციტის საშუალებით გადაწყდეს.

ლორდ კერზონმა განაცხადა, რომ პლებისციტის დაწესება არ შეიძლება იმ აზრით, დაეთანხმონ გერმანიის და საფრანგეთის და იაპონიის დელეგატები, უჩვენეს რა ოსმალეთს შემცირებული თავისი მოთხოვნილებები. კერზონმა აგრეთვე განაცხადა, რომ ერთა ლიგის სტატუტის 2-ე მუხლი შეიცავს უმცირესობის დაცვის საუკეთესო პირობებს. მიუხედავად ამისა ისმეტ ფაშა დაჟინებით მოითხოვდა მოსულის ოსმალეთისათვის გადაცემას.

პოლონეთის ამბები

კაბინეტისათვის ნდობის გამოცხადება.

მანჰეიმი. 25 იანვარი ვარშავიდან იტყობინებიან, რომ პოლონეთის სეიმმა ხმის უმრავლესობით ნდობა გამოუცხადა სიკორსკის მთავრობას.

საბერძნეთში

საბერძნეთის ახალი კაბინეტი

ბერლინი. 25 იანვარი. საბერძნეთის ახალ კაბინეტში იუსტიციის მინისტრად დაინიშნა მისიოსი, საკასაციო სასამართლოს წევრი, უფროსი გენერალ-გუბერნატორი; შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნულია პაპანდრეუ, სამხედრო მინისტრად—გენერალი მაზარაკისი. პოლკოვნიკმა რონაკოსმა შეინარჩუნა მხოლოდ საბჭოში თავმჯდომარეობა.

საბერძნეთი და იუგო-სლავია.

ბერლინი. 25 იანვარი. საბერძნეთში იუგო-სლავიის ელჩმა განუცხადა საბერძნეთის მთავრობას იმ ცვლილებათა შესახებ, რომელიც იუგოსლავიას სურს შეიტანოს სალონიკის თავისუფალი ზონის კონვენციაში.

შორეულ აღმოსავლეთში

რუსეთი და იაპონია.

მოსკოვი. 25 იანვარი. რ. ს. ფ. ს. რ. საგარეო საქმეთა კომისარიატის მოადგილემ კარახანმა იაპონიის გარეშე საქმეთა მინისტრს გაუგზავნა საპროტესტო ნოტა სახალინთან ახლოს იაპონიის ავაზაკების მიერ რუსეთის გემების „რადას“ და „კტორის“ „ანნის“ დალუპვის, გემების [illegible] მკვლელობისა და ტვირთის მიტაცების გამო ნოტაში ნაჩვენებია, იაპონიის გაზეთების სიტყვით, რომ უკანასკნელ დროს გახშირებულ ავაზაკურ მოქმედებაში მონაწილეობას ღებულობენ იაპონიის სამხედრო მოხელენი და სხვა პირები, რომლებიც აქვთ ახლო დამოკიდებულება იაპონიის მთავრობასთან. ნოტა დაჟინებით მოითხოვს ამგვარი მოქმედების გამოძიებას და ზარალის ანაზღაურებას.

იაპონია და ამერიკა.

ბერლინი 25 იანვ. ტოკიოდან მიღებულ ცნობების თანახმად, ადმირალმა კატომ განაცხადა, რომ თუ საფრანგეთი და იტალია არ დაამტკიცებენ ვაშინგტონის ხელშეკრულებას, მაშინ ინგლისს, ამერიკას და იაპონიას მოეპოებათ საშუალება შეთანხმდნენ ფლოტის საკითხში. თუ ხელშეკრულებას დაამტკიცებენ, მაშინ იაპონია სიზუსტით შეასრულებს ვაშინგტონის კონფერენციის პირობებს და შეწყვეტს ახალი გემების აშენებას.

თურქესტანში

მოსკოვი. 24 იანვარი. ტაშკენტის საწარმოო დაწესებულებათა მუშების უპარტიო კონფერენცია საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ ეპშტეინის მოხსენების მოსმენის გამო მიღებულ რეზოლიუციაში აღნიშნავს, რომ საბჭოთა ხელისუფლების და კომპარტიის გულმოდგინე და მტკიცე ხელმძღვანელობით, რუსეთი გახდა მნიშვნელოვანი ძალა, რომელსაც ანგარიშს უწევენ მტრები და კაპიტალისტური სახელმწიფოები და რომელზედაც ემყარება საერთაშორისო მუშათა კლასი ბურჟუაზიის საწინააღმდეგო ბრძოლაში, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა ვერ შეარყევს ჩვენს პროლეტარულ სახელმწიფოს ძლიერებას. ის ხელს უწყობს თანდათანობით სახელმწიფოს კეთილდღეობის ზრდას და მასთან ერთად ფართო მასების მდგომარეობის გაუმჯობესებას.

თურქესტანის ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ სევასტიანოვის მოხსენებაში აღნიშნა ნახშირის და ტყავის მრეწველობის განვითარების და ნავთის და სამთამადნო საქმის გაუმჯობესების აუცილებლობა. ნახშირის მრეწველობის განვითარებით შესაძლებელი იქნება მოთხოვნილების დაკმაყოფილება, ბაქოს ნავთის არეში, რომელიც უმეტეს შემთხვევაში ხმარდება რკინის გზის მეურნეობას.

კომუნალურ მეურნეობის შესახებ ბაჟანის მოხსენების გამო, კონფერენციამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნულია კომუნალურ მეურნეობის წარმოებისათვის სწორი გეგმის და სისტემის შემუშავების აუცილებლობა, ბინის საკითხის მოგვარება მუნიციპალური და კოლექტიური სახლებიდან არამშრომელ, სპეკულიანტურ ელემენტების გასახლების და ამ ბინების მუშებისთვის გადაცემის გზით.

სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ.

ტაშკენტი, 25 იანვარი. თურქესტანის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძნელი ფინანსიური მდგომარეობის გამო, საფინანსო კომისიამ წინადადება მისცა, რათა 7 დღის განმავლობაში გამოიძებნოს საშუალება უნივერსიტეტის ხარჯების დასაფარავად. გადასახადი სწავლების ფასისა—100 დან 200 მანეთის რაოდენობით,—საექიმო ფაკულტეტთან არსებულმა კომისიამ დააწესა ზოგიერთ სტუდენტებისათვის პერსონალური გადასახადი—600 დან—1000 მანეთამდე.

— ტაშკენტის სეისმოგრაფიულ სადგურზე აღნიშნულია მიწის ძვრა, რომელსაც, როგორც ჩანს, ადგილი ჰქონდა სამარკანდის რაიონში. ტაშკენტში მიწის ძვრის ძალა აღნიშნულია 5 ბალით.

სხვადასხვა ამბები

სპეკულიაცია ესპანიაში.

ბერლინი 25 იანვარი. გაზ „ტანი“ იტყობინება, რომ იმ ხმების გამო, რომ თითქოს ესპანია კისრულობს შუამავლობას გერმანიასა და საფრანგეთს შორის, მადრიდელები სპეკულიაციას ეწევიან ფრანკებით და გერმანულ მარკებით. ბირჟაზე, ერთი დღის განმავლობაში გაიყიდა ერთ მილიარდზე მეტი მარკა და ბირჟა იძულებული შეიქნა შეეწყვიტა მუშაობა, ვალუტის მარაგის უქონლობის გამო.

ახალი ზარბაზანი.

ბერლინი. 25 იანვარი. ენდულამის მახლობლად მდებარე ფოლადის ჩამომსხმელმა ქარხანამ (საფრანგეთი) დაამთავრა ახალი ზარბაზნის ჩამოსხმა. ამ ზარბაზანს ექნება 21 მეტრი სიგრძე და იგი გაისვრის ყუმბარას 90 კილომეტრის მანძილზე. ამ ზარბაზნის ყუმბარა იქნება სიმძიმით 450 კილოგრამი.

ავსტრიაში.

ბერლინი. 25 იანვარი. კანცლერი სეიპელი და გარეშე საქმეთა მინისტრი გაემგზავრენ პარიზში.

ლიტვა და პოლონეთი.

ბერლინი. 25 იანვარი. პოლონეთის სეიმის საგარეო საქმეთა კომისიამ გამოიტანა რეზოლიუცია მემელის საკითხის მოწესრიგების აუცილებლობის შესახებ.

წითელი რესპუბლიკები

რუსეთი

ნახშირი უცხოეთიდან.

სევასტოპოლი. 16 იანვარი. ნახშირის არაჩვეულებრივი კრიზისი, რომელსაც განიცდიდა სახელმწიფო ზღვაოსნობა, უკანასკნელ დროს შენელდა. სევასტოპოლის ზღვაოსნობის თანამშრომლების მიერ მიღებული ცნობებით, ოდესაში უკვე მიიღებულია ზონგულდაკიდან ოსმალეთის ნახშირის დიდი პარტია ამ გარემოების საშუალებით ოდესიდან ყირიმ—კავკასიის ხაზით მიმავალ გემებს ექნება საკმაო ნახშირი და აღდგენილი იქნება რეისების სისწორე.

სანიტარია გემებზე.

სევასტოპოლი 16 იანვარი. სევასტოპოლის ნავსადგურში [illegible] გემების შემოსვლის გამო, ამ ჟამად გემების და ხომალდების სანიტარული მდგომარეობა გაუმჯობესდა.

1923 წლის ფულის ნიშნები.

მოსკოვი. 25 იანვარი. ფინანსთა სახალხო კომისარიატმა დაადგინა 1923 წელში გამოუშვას ფულის ნიშნები 250.000 და 500.000 მან. ღირებულებით.

უმუშევართა აღრიცხვა.

მოსკოვი. 25 იანვარი. უმუშევარ აღრიცხულთა რიცხვი მოსკოვში აღწევს 55.000 კაცს საზოგადოებრივ მუშაობის მომწყობი კომისია აცნობს, რომ ამჟამად უმუშევარ აღრიცხულთათვის სახლების და სახელოსნოების მოწყობას და საზოგადოებრივ ხასიათის მუშაობისათვის მათ გამოყენებას.

უცხოეთის ცხოვრება

საპყრობილეები ინგლისში

ინგლისის საპყრობილეების გამომძიებელ კომისიის ანგარიშში აღნიშნულია შემდეგი: სულიერი დაავადების პროცენტი (86 6—10 000 კაცზე) ათჯერ მეტია, ვიდრე თავისუფალ მოქალაქეთა შორის; ამას გარდა [illegible] ხელს უწყობს პატიმარის სიგიჟემდე მიყვანას; თვითმკვლელობათა რიცხვი სამჯერ მეტია, ხოლო 20 წლიანში [illegible] საპყრობილეებში 12-ჯერ მეტი, [illegible] 30 თვეიში სუსტდება მეხსიერების და ნებისყოფის ძალა, ყურადღების ერთ რამეზე შეჩერების [illegible]; ხანგრძლივ პატიმრობას მოჰყავს ნაადრევი მოხუცებულობის მარაზმი და ბავშური მდგომარეობაში ჩავარდნა. ანგარიშში იმ აზრს იზიარებენ, რომ [illegible] იქნება მხოლოდ საპყრობილეში.

ფაშიზმი ინგლისში

„დეილი ნიუზ“-მა აღმოაჩინა საიდუმლო ორგანიზაციის არსებობა ინგლისში. ის დაარსებულია და ხელმძღვანელობს ორი წლის წინედ პოლკოვნიკ ვალტერ ხაბერის მიერ, იწოდება „ჯვაროსნების ორდენად“ (ორდენის დიდმა სიშამლემ განაცხადა ინტერვიუში, რომ ამ ორდენის მიზანია მსოფლიოს ხსნა ჯვაროსნების სულის გამოცოცხლების გზით), მას აქვს საიდუმლო რიტუალი, განსაკუთრებული გაფორმებული მოწყობილობა, ნიშნები, მახვილი და სხ., ბაძავს ვალტერ სკოტის რომანების გმირებს. მაგრამ საქმე რომ ამ მასკარადით არ განისაზღვრება, ცხადი ჩანს იქიდან, რომ ორდენის ხელმძღვანელობენ ფრიად გარკვეული რეაქციონური მიმართულების პოლიტიკოსები.

ფაშიზმი იაპონიაში

იაპონიის პრესა სავსეა ცნობებით იქაური ფაშისტების მოქმედებაზე. მათი ორგანიზაცია—კოკუსუი-კაი—სამი თვის წინედ შექმნა იაპონიის შინაგან საქმეთა მინისტრმა, რომელიც ძლიერად მას ფინანსიურ დახმარებას. ამ ნაირ ფაშისტები ერევიან მუშების და მეპატრონეთა ეკონომიურ კონფლიქტებში, ხშირად აწყობენ სისხლიან შეტაკებებს, როგორც მაგალითად, ახლო ხანს კიოტოში, კონფლიქტის გამო ერთ ბანკსა და მის მოსამსახურეებს შორის. [illegible] „ჯ[illegible]“-ც კი თავის ოდე წერილში გადაჭრით აცხადებს, რომ ეს ტერორისტული ბანდები „ხდება მთავრობის მფარველობით“.

დარვინის წინააღმდეგ

ამერიკის ერთ ერთ შტატის, კენტუკის წარმომადგენელთა პალატამ მიიღო კანონი, რომელიც უკრძალავს ყველა სახელმწიფოებრივ სკოლებს დარვინისტური ევოლუციის თეორიის სწავლებას. თუ სენატი არ მოიწონებს ამ კანონს, ბრიანის მოციქულების წარმომადგენელთა პალატიდან განზრახვა აქვთ გამოსცენ სხვა კანონი, რომელიც დარვინის თეორიას გამოაცხადებს ათეიზმად, ხოლო მის მქადაგებლებს კანონის დამრღვევლებად და პასუხის მგებლებად მის წინაშე.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

[illegible] ბრძოლა.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი აზერბეიჯანში აწარმოებს ენერგიულ ბრძოლას მინდვრის თაგვებთან. შემახის მაზრაში დაწამლებულია 24 850 დეს., [illegible]—6 950, შუშის—5.760, ლენქორანის—8 17. მუგანის და ყარაბაღის მინდვრებზე თაგვების რიცხვი ყველგან დიდია. ბევრ ადგილი ერთ დესეტინაზე მოდიოდა 1 500 საცხოვრებელი ხვრელი. [illegible] აგრეთვე გოქჩას, ლენქორანის და ყაზახის მაზრებში.

[illegible]

კომუნალური განყოფილების მიერ დაწესებულია საიჯარო ქირა მთელ რიგ შენობებზე და სხვა და სხვა სახელმწიფო სამეურნეო ორგანოების მიერ იჯარით აღებულ ბინებზე და სასტუმროებზე ის ქირა 1923 წ. მოეცემა 65—90.000 მან. ოქროთი.

თესვის კამპანია.

კუბის მაზრაში დათესილია საკმარისი რაოდენობა ანეულთა თესლისა. დათესილია აგრეთვე ქალაქის ყველა მიწები, სულ 250 დეს., რომლებიც კომუნალურ განყოფილების მიერ გაცემულია იჯარით მახლობელ სოფლების მცხოვრებლებზე მოსავლიდან 20 პროცენტის ქირის სახით მიღებით.

აფხაზეთი.

სიძვირესთან ბრძოლა.

სოხუმი. 24 იანვარი. სიძვირესთან ბრძოლის საკითხის შესახებ აფხაზეთის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა: დაჩქარებით წინადადება [illegible] ეცემა და მიეწოდება კოოპერატიული ორგანიზაციებიდან მუშებისათვის, მოსამსახურეებისათვის და იმათი ოჯახისათვის პირველი საჭიროების პროდუქტების, რომლებიც ინახება სახელმწიფო და საზოგადოებრივ საწყობებში, პროდუქტების განაწილება მოეწყოს მტკიცე ფასებში, რომელსაც დააწესებს სპეციალური კომისია. იმავე კომისიამ მიიღოს ზომები სიძვირესთან ბრძოლის მეთოდის. კომისიაში შევლენ წარმომადგენლები სახალხო სასურსათო კომისარიატის, მუშათა და გლეხთა ინსპექციის, საბჭოთა პროფესიონალური კავშირების, სახელმწიფო ვაჭრობის და კოოპერაციის. გამომუშავებულ იქნას პრაქტიკული ღონისძიებანი ბრძოლა სპეკულიაციასთან და წარუდგინოს 48 საათის განმავლობაში სახალხო კომისართა საბჭოს.

მოისმინა რა მოხსენება სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. აბაშიძის აფხაზეთში მუშათა და მოსამსახურეთა ფინანსიური მდგომარეობის შესახებ, სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა [illegible] შესაძლებლობა საკავშირო საბჭოს წინაშე, გამოითხოვოს ფინანსიური დახმარება მოსამსახურეების დასაკმაყოფილებლად, რადგანაც ფასების აწევის გამო [illegible] აფხაზეთში უმწეო მდგომარეობაშია.

ბანდიტების შეპყრობა.

სოფელ მეხდუღუში, გუმისტინის მაზრაში აფხაზეთის საგანგებო კომისიის წითელ არმიელების რაზმმა ორი თანამშრომლის თანხლებით შეიპყრო მთელ აფხაზეთში ცნობილნი ბანდიტები ძმები ბეკლიანოვები, რომელნიც დიდი ხნის განმავლობაში [illegible]. თავიანთი ბანდიტური მოღვაწეობა ბეკლიანოვებმა დაიწყეს 1920 წ. [illegible] ჯანყებში, ბანდიტიზმის მოწყობაში და ბანდიტურ გამოსვლებში სოჭის ოლქში, [illegible] გაგრის, გუდაუთის და გუმისტინის მაზრებში. ამ ხნის განმავლობაში იმათ შეასრულეს მთელი რიგი ტერორისტული აქტებისა. იყო ცნობა რომ ბანდიტები ძლიერ შეიარაღებული იყვნენ და თან ჰქონდათ ყუმბარები. იმათი დაჭერის დროს ძალიან ფრთხილი ზომები იყო მიღებული. სახლებს სადაც ეგულებოდათ ბანდიტები, ღამით გარს შემოარტყეს და ისინი შეიპყრეს უბრძოლველად, სისხლ დაუღვრელად.

ტფილისის საბჭოს არჩევნების შედეგებ

მე-2-ე რაიონში არჩეულნი არიან:

წევრებად—57 კომუნისტი; 5 ახ. კომ. კავ.—წევრი; [illegible] მემარცხ სოც.-ფ. სულ 71 წევრი

კანდიდატებათ—15 კომუნისტი; 2 ახ. კომ. კავ. წევრი და 12 ტიო; სულ—29 კანდიდატი.

წითელ ჯარში:

წევრებად—108 კომუნისტი და 22 უპარტიო. სულ—130 წევრ

ბათომი

ქალაქის საბჭოს გახსნა. საბჭოთა თეატრის შენობაში დიდი ზეიმით მოხდა ბათომის მეორე საბჭოს გახსნა. სხდომა გახსნა ამხ. პევცოვმა. კომფრაქციის წინადადებით მოხდა პრეზიდიუმის არჩევნები, რომელშიაც შევიდნენ ამხ. ხიმშიაშვილი, სვანიძე, მოწყობილი, თავდგირიძე, ბოგდანოვი, გურგენიძე, ომანი, ბახტაძე, გელლერი და გურკოვი და საპატიო წევრებათ ამხ. ლენინი, ტროცკი, ორჯონიკიძე, სტალინი, მახარაძე ორახელაშვილი და ცხაკაია. ბათომის პარტკომის სახელით საბჭოს მიესალმა ამავე პარტკომის წევრი ამხ. სვანიძე. ორატორმა აღნიშნა, რომ კომპარტიამ დიდი გავლენა მოიპოვა აჭარის სოფლებში. აჭარის გასაბჭოების დასაწყისში აჭარის კომუნისტებს შეეძლოთ დაყრდნობოდნენ მხოლოდ ქალაქის პროლეტარიატს. სოფლებში ნაკლებათ იცნობდნენ კომუნისტებს და საბჭოებს. ეს გამოიხატა იმ პარტიის [illegible] რომელშიც [illegible] საბჭოს წინა არჩევნებში. დღეს სურათი სულ სხვაგვარია, პარტიის ავტორიტეტი [illegible] ფართოდ გადგა ფესვი აჭარის სოფლებში საბჭოს უკანასკნელმა არჩევნებმა, ხულოში, კიდაში, ქობ და სხვა ადგილებში, დიდი ს გამოიწვია გლეხების შორის ჩვენი შედეგები, ამტკიცებს, რომ საბჭოთა ხელისუფლება ში მტკიცდება და წარმატებით ასრულებს ყველა იმ ამოცანებს, რომელიც სდგას აჭარის რესპუბ. ქალაქის საარჩევნო კომ. მოხსენებელმა ამხ. პევცოვმა აღნიშნა, საარჩევნო კამპანია წარმატებით ტარდა, არჩევნებისადმი დიდი ინტერესი იყო გამოჩენილი. მთელი ჩვენი მუშაობა დარაზმულად და. ყოველ 100 ამომრჩეველი და თითო წევრს. ამგვარად ეველთა რიცხვი უდრის 261 ჩეულია 262 კაცი სამანდატო სიის მოხსენებიდან გამ რომ ქალაქის საბჭოს ში მონაწილეობას იღებენ კავშირები, ინვალიდები, წვ ლნი, ქალაქის მილიცია, კავკა იის საგანგებო კომის წითელ არმიის ნაწილები. ლი შემადგენლობის მხრივ საბჭოს შემადგენლობა შემდე მუნისტები 188, (ამათ რიც ახალგ. კომკავშირის წევრ უპარტიო და მათი კანდიდა კომუნისტი და 51 უპარტიო (სოციალური მდგომარეობის ვით: მუშები 153, ინტელიგენ 77, გლეხები—21, და ხელო ეროვნების მხრივ—რუსები— რთველები—77 ებრაელები— მხები—14, აჭარელი—11, —7 და ოსმალო—4.

ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმის წევრები არიან: ამხ. პევცოვი, რიძე, პიასეცკი, გურგენიძე, ოსიპოვი, ხიმშიაშვილი, ბელოუ გდანოვი და მეტეკვერიანი. აირჩია 131 დელეგატი აჭარის საბჭოთა 6-ე სხდომაზე.

პარტიული ცხოვრება

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს

პარასკევს. ამა წლის 26 იანვარს

ერთიან პარტიულ დღეს

თვით რაიკომებმა და რაჩეიკებმა შეიმუშავონ დღის წესრიგი.

ტფ. კომიტეტის მდივნის მაგიერ—რუბენი.

პარტიის ისტორიის კომისიისაგან

პარტიის ისტორიის კომისიამ გადასწყვიტა გამოსცეს კრებული, დაც მოთავსებული იქნება მოკლე ბიოგრაფიები საქართველოს ძველი ვოლიუციონერების რომლებიც დაიღუპნენ 1917 წლამდე კომისიამ შე ნა ასეთ ამხანაგების სია, რომელიც აქვე მოგვყავს:

1. კეცხოველი ლადო (მოკლულია დარაჯის მიერ მეტეხის ქ. თბილისში 1903 წ.).
2. წულუკიძე ალექსანდრე (საშა) (გარდაიცვალა ქუთაისში 1905 წელს).
3. თელია გიორგი (მუშა, გარდაიცვალა 1907 წ.).
4. ბოჭორიშვილი მიხა (მუშა გარდაიცვალა 1913 წ. ჩრდ. ლოდ კასიაში).
5. ჩოდრიშვილი ზაქარია (მუშა გარდაიცვალა ნიკოლაევის სა ლო ციხეში 1916 წ.).
6. ინგოროყვა (ნინოშვილი ეგნატე) გარდაიცვალა ს. ჯ 1894 წ.).
7. სტურუა [illegible].
8. სტურუა რაჟდენ.
9. კალაძე.
10. ელიავა გიორგი.
11. [illegible].
12. ჯორჯიაშვილი არსენ.

რასაკვირველია ეს სია არაა სრული და მაშასადამე მას და ესაჭიროება. ამიტომ კომისია მიმართავს ყველა ძველ ამხანაგებს, უკან სკნელებმა მოგვაწოდონ სახელი და გვარი და, საზოგადოთ თუ ლება ექნებათ მოკლე ბიოგრაფიაც, იმ ამხანაგებისა, რომლებიც სიცო გ მოესალმენ 1917 წლამდე და რომლებიც გამოტოვებულია ზემოდ ნილ სიაში.

ამ გვარად კომისიას შეეძლება მიეცემა სისრულეში მოიყვანოს და ლებული ეს ამოცანა.

გამოსცეს ძველი რევოლიუციონერების მოკლე ბიოგრაფიების ბული.

პარტიის ისტორიის კომისია.

„რევოლიუციის მატიანეს“ სარედაქციო იმყოფება საქარ. კომუნ ტის ცეკას შენობაში. ყოველი მასალა უნდა გადაიგზავნოს იქვე, ს ლოკავშირის სახელზე.

საქართველოს ცეკას მუშაობის ანგარიში ნოემბერში.

მუშაობა პროფკავშირებში.

მთელი ორგანიზაციულ-პოლიტიკური და იდეიური მუშაობა საქართველოს პროფკავშირებისა მიმდინარეობდა საქ. კომ. პარტიის უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ. პროფორგანოები მუშაობდნენ სრულ კონტაქტში პარტ-ორგანოებთან.

სრულიად რუსეთის პროფკავშირთა მეხუთე ყრილობის დადგენილებების პოპულიარიზაციისა და ცხოვრებაში გატარების მიზნით, მოწვეულ იქნა პროფკავშირების მდივნების თათბირი. თათბირში მონაწილეობას ღებულობდნენ პროფკავშირთა საბჭოების მდივნები აჭარისა, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისა, საოლქო პროფბიუროების მდივნები, კავშირის ცენტრალური გამგეობა და ს. პ. კ. ს. რწმუნებულები.

თათბირი ჩატარდა მეტად საქმიანად, გამოტანილ იქნა მთელი რიგი დადგენილებებისა საქართველოს სინამდვილესთან შეფარდებით. დადგენილი პრაქტიკული შედეგები თათბირისა გამოიხატა პროფ-მუშაობის გამოცოცხლება-გაძლიერებაში.

გარდა ამ თათბირისა, ჩატარებულ იქნა ფართე კამპანია პროფესი ლური მასსის ყოველ მხრივ გას ბათ სრულიად რუსეთის პროფ შირთა მეხუთე ყრილობების და ნილებებთან. პარალელურად რებულ იქნა კამპანია სოციალ დაზღვევის შესახებ.

ამ კამპანიამ ძლიერ დააინტ მუშების უპარტიო ფართე მასსები

მოსკოვში, 15 დეკემბრისათვის ნიშნულ ინჟინრების ყრილობა დაკავშირებით, საინჟინრო პროფკავშირთა საბჭოსაგან მი ლი იყო მთელი რიგი კონკრეტ ღონისძიებათა ტექნიკური ძალ თავის მოსაყრელად. ეს საკითხი დაც იმყოფებოდა, მაგრამ ამ ყრ ამ უფრო დაიჩქარა ინჟინრების კავშირის გამომუშავებული ინსტ ქციების თანახმად, ყველა კავშირ ბის ცენტრალურ გამგეობებს, მელთაც თავის წევრები შორის ყ [illegible] ძალები, წინადად მიეცა მოეწყოთ სექციები და გა ყოთ განსაზღვრული ნორმით წ მომადგენლები ინჟინრთა კონფერ ციისათვის, რომელიც შესდგა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასურსათო გადასახადის კამპანია

სულ რამდენია აკრეფილი დასავლეთ საქართველოში?

სახალხო სასურსათო კომისარიატის ოფიციალური დოკუმენტალური ცნობით დასავლეთ საქართველოს შვიდ მაზრაში იანვრის 25-სთვის აკრეფილია 145.764 ფუთი სიმინდის ერთეული, ანუ 49,3 პროცენტი ამ მაზრებზე შეწერილ გადასახადისა.

რომელ მაზრაში რამდენია აკრეფილი?

ქვემოთმოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს, თუ რომელს მაზრას რამდენი ფუთი სიმინდის ერთეული აქვს შეწერილი, რამდენი ფუთია აკრეფილი და აკრეფილი გადასახადი შეწერილ გადასახადის რამდენს პროცენტს შეადგენს.

მაზრები	რამდენი ფუთი აქვს შეწერილი?	რამდენი ფუთია აკრეფილი?	რამდენი პროცენტია აკრეფილი?
1. შორაპნისა	40,500	40,500	100,0
2. რაჭისა	15,000	14,222	94,8
3. სენაკისა	67,500	28,984	42,9
4. ქუთაისისა	67,500	27,280	40,4
5. ზუგდიდისა	60,000	21,601	36,0
6. ოზურგეთისა	37,500	13,063	34,9
7. ლეჩხუმისა	7,500	114	1,5
სულ დასავლეთ საქართველოში	295,500	145,764	49,3 პროც.

კამპანიის მსვლელობა.

ქუთაისის მაზრა. გადასახადის შეგროვება წარმატებით მიმდინარეობს. იანვრის 20 ს რამდენიმე თემმა ქუთაისში მიიტანა 8 000 ფუთი სიმინდის ერთეული. გადასახადი მიტანილ იქნა 300 ურმით, რომელიც მორთული იყო წითელი დროშებით. ურმებს გლეხები მისდევდნენ სარევოლუციო სიმღერით.

როგორც სამაზრო სასურსათო კომისარი იტყობინება იანვრის 17 დან 22 მდე შეგროვილ იქნა 23.066 ფუთი სიმინდის ერთეული 1922 წლის გადასახადის ანგარიშში. ამას გარდა აკრეფილ იქნა 1921 წლის ნარჩენის ანგარიშში 77 ფუთი.

გადასახადის დაწყების დღიდან მიმღებ პუნქტში მიტანილია 27.280 ფუთი სიმინდის ერთეული, ანუ 40.4 პროცენტი შეწერილ გადასახადისა. თუ მხედველობაში მივიღებთ თემებში შეგროვილ გადასახადსაც, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ უკვე შეგროვილია 90 მდე პროცენტი.

სასოფლო სამეურნეო ფრონტზე

შემოდგომის და გაზაფხულის თესვის კამპანია

სათესლე სესხის აკრეფა

ამ ჟამად აღმოსავლეთ საქართველოს მცხოვრებთათვის დარიგებული სათესლე სესხისგან (ხორბალი და ქერი)—აკრეფილია გორის მაზრაში მთელი 100 პროც.—ტფილისის, ბორჩალოს, ახალქალაქის, დუშეთის და თელავის მაზრებში აკრეფა ახლო მომავალში დამთავრდება.

დანარჩენ მაზრებში აკრეფა ნაყოფიერად სწარმოებს

აღმოსავლეთ საქართველოში აკრეფილი სათესლე სესხის საერთო რაოდენობა 90 პრ. უდრის.

დასავლეთ საქართველოს მაზრებში სადაც ასაკრეფია მხოლოდ სიმინდი—აკრეფილია—40 პროც.

დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ მაზრებში სიმინდის უფრო ინტენსიური აკრეფა დაიწყება იანვრის ბოლოში, რადგან სიმინდი მეტად ნესტიანია

შემოდგომის და გაზაფხულის თესვის კამპანია.

მრავალ მაზრებში ანეული წარსულ წელთან შედარებით გადიდებულია 10—15 პროცენტით.

ჯეჯილი ყოველგან დამაკმაყოფილებელია, მაგრამ თოვლის მოუსვლელობის გამო მიწის დამმუშავებლები შიშს გამოსთქვამენ. ადგილებზე საგაზაფხულო თესვის კამპანია ტარდება ინტენსიურად. სამაზრო თესვის კომიტეტები ყოველივე ზომებს ღებულობენ რათა ღარიბ გლეხთა სიები შედგენილი იქნეს თავის დროზე

შემდგარ კონფერენციაზე გამოყოფილ იქნა ცენტრალური ბიურო რესპუბლიკის ინჟინერთა ტეხნიკური ძალებისა, რომელიც იწყებს მუშაობას ს. პ. კ. ს.—ის საორგანიზაციო განყოფილებასთან.

უნდა აღინიშნოს ის ცოცხალი ინტერესი, რომელსაც იჩენენ ინჟინრები პროფ. მუშაობაში მონაწილეობის მიღების დროს.

მიმდინარე წმენდასთან დაკავშირებით, პროფორგანიზაციების წინაშე დაყენებულია საკითხი კავშირიდან გამორიცხული პირების სამუშაოზე დატოვების შესახებ; ამ საკითხზე მიღებული იქნა დადგენილება, რათა აუცილებლად მოხსნილ იქნან სამუშაოდან ისეთი პირები, რომლებიც კავშირიდან გამორიცხული არიან სპეკულაციისა და ქრთამისათვის, აგრეთვე ისეთები, რომლებიც [illegible] არიან შემოსავალი ქონებით. სხვა ხასიათის მოტივებით გამორიცხულთა შესახებ—კითხვა გადაწყვეტილ იქნება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, თვით კავშირის მიერ.

საქ. პროფკავშირთა საბჭოს მიერ სათანადო ყურადღება ჰქონდა მიქცეული კურორტების მოწყობისა და კერძოთ სანატორიუმის „არაზინდო" დამთავრების საკითხისადმი. ამ საქმეზე გადაწყვეტილ იქნა მოწვევა როგორც ყველა ადგილობრივ სამეურნეო ორგანოებისა, აგრეთვე მეზობელ რესპუბლიკების პროფკავშირთა საბჭოებისა.

კამპანიაში „ქუჩის ბავშვების" სახელით მონაწილეობით პროფკავშირებმა მიიღეს სრულიად აქტიური მონაწილეობა. წინადადება მიეცა პროფკავშირების ყველა ცენტრალურ გამგეობებს, რათა მოეხდინათ სავალდებულო გადარიცხვა ერთი დღის [illegible] მომუშავეების შრომის გასამრჯელოსი „ქუჩის ბავშვის" ფონდში, ამას გარდა, აღნიშნული მიზნისათვის ტარდებოდა [illegible] მუშა მოსამსახურეების საერთო კრებებზე. ამ კამპანიამ მოგვცა კარგი შედეგები.

პროფკავშირთა საბჭოს წინ იდგა საანგარიშო თვეში ბევრი სხვა საკითხი, როგორიც არიან: მუშა მოსამსახურეების შეშით მომარაგების შესახებ, სასკოლო მუშაკებისადმი დავალიანების შესახებ, ბაღნისა და ბოსტნის სამეურნეო ორგანოებისადმი გადაცემის შესახებ და სხ.

მიუხედავათ ზოგიერთი აღნიშნული საკითხების სირთულისა, საქ. პროფკავშირთა საბჭომ მაინც მოახერხა გატარებინა ისინი ცხოვრებაში, რის შედეგათ უნდა ჩაითვალოს ძლიერი გამოცოცხლება კავშირის რიგებისა.

საკითხები, ცოტათ თუ ბევრათ განსაკუთრებული მნიშვნელობისა, რომ არ ვილაპარაკოთ კამპანიებზე, წინდაწინ ირჩეოდენ შესაფერის სხდომებზე. პ. კ. ს. განყოფილებისა, ყველა კავშირების წარმომადგენლობის თანადასწრებით, რითაც ხორციელდებოდა მჭიდრო კავშირი კავშირთა ორგანოებს შორის.

თავის მხრივ პროფორგანიზაციის ხელმძღვანელ ორგანოებს გადაჰქონდათ საკითხები ადგილებზე, რათა კავშირის ფართე მასსას მიეღო მონაწილეობა მათ გადაწყვეტაში დაწესებულებებისა და საწარმოო დაწესებულებების საერთო კრებებზე.

ამრიგად, აღნიშნული მეთოდი პროფორგანიზაციების მუშაობისა ხელს უწყობდა უკანასკნელების ავტორიტეტის ამაღლებას საკავშირო მასსის თვალში, მეორე მხრივ ხელმძღვანელ ორგანოების და ადგილების უშუალო დაახლოვებას.

ეკონომიური ცხოვრება

ლეიპციგის ბაზრობა.

ამ წლის 5 მარტს ლეიპციგში გაიხსნება ბაზრობა, რომელიც საბჭოთა ფედერაციისათვის დიდ ინტერესს წარმოადგენს. ვინაიდან ეს არის პირველი ბაზრობა საზღვარგარეთ, სადაც მონაწილეობას ღებულობენ საკუთარი წარმოების საქონლით საბჭოთა რესპუბლიკები.

ლეიპციგის ბაზრობას განსაკუთრებით საქმიანი ხასიათი აქვს, რისთვისაც ყველა ექსპონანტები უნდა იქნენ უზრუნველყოფილი საექსპორტო დამზადებულ საქონლის მარაგით. ბაზრობაზე შეიძლება აგრეთვე ისეთი საგნების ექსპონატების გატანა, რომლებიც კონცესიის ობიექტათ გამოდგებიან, როგორც მაგალითად, მადნეული, ტყე და სხვ. ბაზრობისათვის მოსამზადებელ მუშაობის ხელმძღვანელად ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში ამ.-კავკ. საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატთან მოეწყო ცენტრალური ბიურო, რომელშიაც შედიან ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატის და სხვა სამეურნეო ორგანოების წარმომადგენლები. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ბაზრობაში. განყოფილებათა შორის ბაზრობაზე მონაწილეობას მიიღებენ: სამთამადნო კომიტეტი, საღვინო კომიტეტი (გრუზვინო), თამბაქოს ტრესტი, სახელმწიფო ღვინის ტრესტი, ტყავეულობის განყოფილება და [illegible] მაუდი.

თამბაქოს ტრესტი ბაზრობაზე გზავნის სხვა და სხვა ხარისხის თამბაქოს ნაწარმოებს, ამავე დროს უმთავრესი ყურადღება მიქცეული იქნება ახლო წარსულში გამოშვებულ ახალ ხარისხის პაპიროსებს; სახელმწიფო ღვინის ტრესტი გაგზავნის არაყის ყოველგვარ ნაწარმოებს, ყურძნის და ხილის სპირტს, ყურძნის არაყს და სხვ.; ტყავეულობის განყოფილება ადგილობრივ გაკეთებულ ორიგინალურ ტყავებს და ტყავის და ქეჩის ნაწარმოებს; საღვინო კომიტეტი—კონიაკს და თავისი ფაბრიკის სხვა ნაწარმოებს; ბორჯომის მამული—მინერალურ წყლებს (განზრახულია გაგზავნა იმ ახალი წყაროს წყლის ექსპონატებისა, რომელიც აღმოჩენილ იქნა სახ. მეურ. უმაღლესი საბჭოს მუშაობით 1922 წელს); სამთამადნო კომიტეტი პროდუქტების ნიმუშების გაგზავნის გარდა, გზავნის აგრეთვე ექსპონატებს, რომლებიც გამოდგებიან კონცესიის ობიექტათ. ყველა ექსპონატებთან იქნება დიაგრამები, რუკები, ახსნა და სხვ.

ლექციები რკინის გზელთათვის

ამიერ-კავკასიის რკინის გზის ჯანმრთელობის სანიტარო-საგანმანათლებლო ქვე-განყოფილება თბილისის კვანძის რკინისგზელთათვის კვირაში სამჯერ (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით) მართავს ლექციებს სხვა და სხვა საკითხების შესახებ პოპულიარულ მედიცინიდან, სანიტარიიდან და ჰიგიენიდან. ლექციებს ექნებათ ნაწილობრივ ციკლიური, ნაწილობრივ ეპიზოდიური ხასიათი.

დასახელებულია ლექციების ციკლები: „ადამიანის სხეულის აგებულება და ცხოვრება" „სოციალური ავადმყოფობანი", „პროფესიონალური ავადმყოფობანი", (განსაკუთრებით რკინის გზელთა შორის) „სიფილისი და ვენერიული ავადმყოფობანი", „დედობის და ბავშვების დაცვა". ეპიზოდიური ლექციები შეეხება განსაკუთრებით დღიურ საკითხებს.

ლექციებს წაიკითხავენ სპეციალურ აუდიტორიაში სანიტარულ განათლების ([illegible] 108) რუსულ და ქართულ ენებზე და თან დაერთვის დემონსტრაცია სურათებისა, კარტოგრამების, მიკროსკოპის პრეპარატები და სხვ. აგრეთვე ეკრანზე ნაჩვენები იქნება სურათები აუდიტორია ღიაა საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე.

ლექციის დასაწყისი 6 საათზე. შესვლა ყველასათვის უფასოა. ლექციების ნუსხა 23 იანვარს—ექიმი შალიძე. რა არის გადამდები სენი და რატომ სნეულდებიან ადამიანები მით.

25—ექიმი კაცნელსონი. რით და რატომ ხდებიან ავათ ძუძუ წოვარა ბავშვები.

27—ექიმი ტერ-იზრაელიანი. რა გვარად არის აგებული ადამიანის სხეული.

30—ექიმი მარკარიანი. რა არის ჰიპნოზი, ჩაგონება, ძილი, სიზმარი. 1 თებერვალი ექ. დიასამიძე. რა არის სიფილისი.

3—ექ. კაცნელსონი. როგორ უნდა მოვუაროთ ძუძუ წოვარა ბავშვს.

5—ექ. ტერ-იზრაელიანი რა გვარი აგებულება აქვს ადამიანის სხეულს (გაგრძელება)

8—ექ. შალიძე. როგორ და რისთვის ხდებიან ადამიანები ავათ ჭლექით.

10—ექ. კირშენბლატი. რით და რისთვის უფრო ხშირად სნეულდებიან რკინის გზის მოსამსახურეები.

13—ექ. ლასარიძე. რა არის ვენერიული სნეულებანი და რატომ ხდებიან იმით ავათ ადამიანები.

15—ექ. კაცნელსონი. როგორ უნდა მოუაროს თავის თავს ორსულმა და [illegible] ქალმა.

17—ექ. ტერ-იზრაელიანი. როგორ ცხოვრობს ადამიანის სხეული.

20—ექ. ფეოდოროვი. მშობლების რა გავლენას ახდენს იმათ შთამომავლობაზე.

22—ექ. შალიძე. პროსტიტუცია, იმისი მიზეზები და ბრძოლა მასთან.

მუშათა ცხოვრება

ყოველი მუშა თავის გაზეთებს უნდა კითხულობდეს

ამ ლოზუნგით საბჭოთა პირველ კოლოფის ქარხნის კომიჩეიკამ ორჯერ მოიწვია ადგილობრივ მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება.

ჩვენი მუშები დიდის ყურადღებით შეხვდნენ კომიჩეიკას მოწოდებას და თავის კრებებზე დაადგინეს ერთხმად—გამოიწერონ ყველა ადგილობრივი გაზეთები. ამ ჟამად აქაური მუშები იწერენ და ფაქტიურად მოსდით შემდეგი გაზეთები: გაზეთი „მუშა"—ათი ცალი;—„კომუნისტ"-ი—სამოცდაორი ცალი; „პრავდა გრუზიი"—სამოცდა შვიდი ცალი; „ზარია ვოსტოკა"—ოცდა ოთხი ცალი; „კარმირ ასტხ"—რვა ცალი და „ტრიბუნა"—ერთი. გარდა ამისა თითქმის სამი მეოთხედი აქაურ მუშებისა იწერს ჟურნალს „ტ[illegible] ზაკავკაზია".

მუშებს ძალიან უყვართ თავისი მუშური გაზეთები და დიდი სიამოვნებით კითხულობენ მათ. ჩვენ, მუშებმა კარგად ვიცით, რომ საბჭოთა პრესა არის სარკე ჩვენი მუშათა ცხოვრებისა და უტყუარი გზის მაჩვენებელი. ამ გაზეთების საშუალებით ჩვენ ვიზრდებით პოლიტიკურად და პროფესიონალურად; ვეჩვევით მარჯვე და სწორ კითხვას, რითაც სამუდამოდ დავძლევთ გონებრივ სიბნელეს.

ჩვენ მოვუწოდებთ ამხ. მუშებს მიბაძონ ჩვენს მაგალითს, გამოიწერონ გაზეთები და ჟურნალები, იკითხონ და გაიწვრთნონ თავიანთი გონება წმინდა პროლეტარულ პრესით, მეცნიერებით და იდეალებით. შეუნდობელია ის მუშა რომელიც თავის მუშურ გაზეთებს არ კითხულობს, ვისაც ამისთვის ხარჯის გამოღება ეზარება. ჩვენ, მუშები, ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავრწმუნდეთ, რომ პროლეტარული კულტურა — არის ერთ-ერთი ჩვენი საძირკველი და უტყუარი საწინდარი კომუნიზმის სამუდამო გამარჯვებისა.

გაუმარჯოს ჩვენს პროლეტარულ კულტურას!

გაუმარჯოს ჩვენს მუშურ პრესას, რომელიც ჰფანტავს გონების სიბნელეს და ცრუმორწმუნეობას!

მუშათა ჯგუფის სახელით კორ.-ინფ.—მუშა ფრიდონოვი.

ზეთის სახდელი და საპნის სახარში ქარხანა ყოფ. ტოლლესი

ეს ქარხანა შედის საფეიქრო, ზეთის სახდელ და საპნის სახარშ ქარხანათა ტრესტში და ეკუთვნის უმაღლეს სამეურნეო საბჭოს.

ამ ჟამად ქარხანაში ვმუშაობთ სულ 56 მუშა.

ჯამაგირს ვღებულობთ ახალი კოლექტიური ხელშეკრულებით, საშუალოდ 10 მილიონ მანეთამდე თვეში.

ჩვენი შრომის ნაწარმოებიდან ვიღებთ თვეში თითო გირვანქა ზეთს და 3 გირ. საპონს. სპეცტანისამოსსაც ვიღებთ და შეშის საყიდელი ფულიც. გარდა ამისა დრო გამოშვებით გვირიგდება ჯამაგირის ანგარიშში სურსათ-სანოვაგეც.

სამუშაო სადგომები ჰიგიენის და ტეხნიკის მხრივ საკმაოთ დამაკმაყოფილებელია.

შრომის კანონების დარღვევის ნიადაგზე აქ კონფლიქტებს ადგილი არა აქვს.

კულტურული მუშაობაც რიგიანია არსებობს სამკითხველო-ბიბლიოთეკა.

მიღებულია ზომები კლუბის საჩქაროდ მოსაწყობად. განზრახულია [illegible] წარმოდგენები, [illegible] წერა კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა სკოლაში მოსიარულე მუშებს ეძლევათ ყოველ დღე ერთი საათით თავისუფლება.

ინფ.—კორი [illegible]

მესამე კომინტერნის სახელობის ბამბის ქარხანაში

აღნიშნული ქარხანა ეკუთვნის უმაღლეს სახ. საბჭოს და მდებარეობს ვორონცოვის ქ. № 115.

ქარხანაში დაბანდებულია 87 მუშა ხელი, რომელთა შორის 9 ქალია.

ჯამაგირს ღებულობენ ახალი კოლექტიური ხელშეკრულებით—საქონლის მანეთის ანგარიშით, თვეში ორჯერ დაუგვიანებლად. საშუალოდ თითოეულ მუშას მოსდის 13 მილიონ მანეთამდე, ჯამაგირის გარდა მივიღეთ სპეცტანისამოსი.

დამოკიდებულება მუშებსა და ადმინისტრაციას შორის ნორმალურია. შრომის კანონების დარღვევას აქ ადგილი არა აქვს.

ჰიგიენის და სანიტარიის მხრივ სამუშაო პირობები დამაკმაყოფილებელია. ძალიან მოზრდილი, მშრალი და სინათლიანი სამუშაო სადგომი მეტათ მიმზიდველად ხდის აქ შრომას, მხოლოდ საჭიროა აქვე აღინიშნოს ერთი დიდი დეფექტი, სახელდობრ ის, რომ ასეთ დიდ ქარხანაში არ მოიპოვება ვენტილიატორი, რის გამო სადგომში მუდამ დგას მავნე მტვერი. ეს მოვლენა ჩვენ დაუშვებლად მიგვაჩნია. წარმოება თანდათან იზრდება. გასულ წლის განმავლობაში წარმოების დამზადებამ იმატა 100 პროცენტით.

მუშების უმეტესობა ჩაწერილია მუშკოოპში, მაგრამ ბაზრის ფასებთან მუშკოოპის ფასების განსხვავების სიმცირის გამო, კოოპერატივით სარგებლობის საქმე ვერ არის სასურველად დაყენებული.

კულტურულ მუშაობას აღნიშნული ქარხანა ეწევა საფეიქრო ტრესტის ქარხნებთან ერთად. მუშები სარგებლობენ ტრესტის სამკითხველოთი; [illegible] ტრესტის საქარხნო კომიტეტს და ყველა საერთო კომიჩეიკა. წერა-კითხვის უცოდინარნი დადიან ტრესტის სკოლაში.

მუშები სარგებლობენ აგრეთვე ტრესტის ამბულატორიით მთელი თავისი ოჯახებითურთ სრულიად უფასოდ.

მუშა—ა.

ქალაქის არჩევნები ზეთის სახდელ, საპნის სახარშ და საფეიქრო ტრესტის ქარხანაში

ამ წლის 10 იანვარს ზემოაღნიშნულ ქარხნებში შედგა მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. ქალაქის არჩევნების შესახებ. მოხსენებას აკეთებს ქართულ ენაზე ამხ. ხვიჩია და რუსულზე ამხ. არაქელოვი.

თავის მოკლე, მაგრამ შინაარსიან სიტყვაში მომხსენებლები აშუქებენ მე 2 ყრილობის თბილისის საბჭოს დადგენილებას და ნაყოფიერ მუშაობას და ათავებენ მოწოდებით, არჩეულ იქნენ ისევ კომუნისტები, რომლებმაც მრავალჯერ დაამტკიცეს თავისი უნარიანობა.

მოხსენების გამო მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლუცია: ჩვენ, მუშა-მოსამსახურეები ვაღიარებთ, რომ მოღვაწეობა მე-2 რიგის საბჭოსი იყო სავსებით ნაყოფიერი და ყოველმხრივ დამაკმაყოფილებელი, მივესალმებით მომავალ მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა ქალაქის მესამე საბჭოს და ვძლევთ ჩვენ ხმას მხოლოდ კომუნისტებს, ვინაიდან იმათ საბჭოთა ძალაუფლების ხუთი წლის განმავლობაში დაამტკიცეს თავისი მტკიცე ერთგულება მუშათა კლასის დაცვის საქმეში.

ამის შემდეგ რაიკომის სახელით წარმოდგენილ კანდიდატთა სიას კრება ერთხმად ღებულობს.—[illegible] კრება იხურება ინტერნაციონალის სიმღერით.

ალ.

ქრონიკა

შინაგან საქმეთა ს. ს. კომისარიატში

— საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში წარდგენილ მაზრის აღმასკომების ანგარიშის თანახმად გასულ 1922 წ. განმავლობაში რესპუბლიკაში მოკლულია 243 ბანდიტი, დატუსაღებულია 3 5, ბანდიტებთან შეტაკების შემთხვევები იყო 43 და თავის სურვილით გამოცხადდა 63.

სხვა და სხვა ხასიათის ბოროტმოქმედება იყო—4532, ამათგან გამორკვეულია 22 8, გამოურკვეველია—2314

ადმინისტრაციის წარმომადგენელთაგან ბანდიტებთან შეტაკების დროს მოკლულია—54 და დაჭრილია—19.

ქალაქის აღმასკომში.

— **საქალაქო გადასახადი.** საქალაქო გადასახადის მოგროვების დღიდან შემოვიდა 17 112 750 ათასი მანეთი უკანასკნელ სამი დღის განმავლობაში შემოსავალი გამოიხატება შემდეგ თანხებში: 22 იანვარს—12 875 ათასი მანეთი 23 იანვარს—354 25 ათასი მანეთი და 24 იანვარს—629250 ათასი მანეთი.

განათლების სახ. კომისარიატში.

— **ზუგდიდის განათლების განყოფილება.** ზუგდიდის მაზრაში ამჟამად არსებობს 121 სკოლა, მათ შორის 2 ტეხნიკური, 15 სრულ კომპლექტიანი (8 ჯგუფით), 16 არა სრულ კომპლექტიანი (7 ჯგუფით, 91 სკოლა (4 ჯგუფით), ყველა სკოლებში ირიცხება 12,856 მოწაფე ორივე სქესის 245 მასწავლებელი. 8 სკოლა და 10 მასწავლებელი კმაყოფილდება ადგილობრივ თემების ხარჯზე. 1922 წლის განმავლობაში შეკეთებული იქნა 35 სკოლის შენობა, ახლად აგებული იქნა 20 სკოლის შენობა სხვადასხვა თემებში და შენდება 22 სკოლა აღნიშნული განყოფილება შუამდგომლობს განათლების კომისარიატის წინაშე, რათა აღნიშნული შტატი მასწავლებლებისა გადიდებულ იქნეს კიდევ 83 მასწავლებლით.

მიწათ-მოქმედების კომისარიატში

— **ძროხების ყიდვა.** მიწათმოქმედების კომისარიატმა ოლღას ფერმისათვის იყიდა 20 შვეიცის ჯიშის ძროხა ეხლა ამ ფერმაში ძროხების საერთო რიცხვი უდრის 65 სულს.

— **სატყეო გადასახადის შესახებ** მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატის სატყეო განყოფილებამ შემდეგი მიწერილობა დაუგზავნა მაზრის აღმასკომებს: „მიწად-მოქმედების კომისარიატი გთხოვთ შესაფერი დახმარება გაუწიოთ მაზრების ტყის გამგეებს, რომ ყოველივე სატყეო შემოსავალი თავის დროზე იქნას ადგილობრივ მცხოვრებლებისაგან შეტანილი სატყეო დაწესებულებების სალაროებში. აგრეთვე დღიდან ხეტყის გაცემა უფასოთ ან შეღავათიან პირობებში უნდა სწარმოებდეს შემდეგი წესით: მთხოვნელებს მიეცემათ ხე-ტყე უფასოთ სამაზრო აღმასკომების სათანადო გამოკვლევის და შუამდგომლობის შემდეგ მიწად-მოქმედების კომისარიატის ნებართვით

— **საძოვარი ადგილებიდან იჯარის აკრეფა.** მიწად მოქმედების სახ. კომისარიატის საძოვარი ადგილების ქვეგანყოფილება ამ ჟამად აწარმოებს იჯარის გადასახადის აკრეფას საზამთრო საძოვარი ადგილებით სარგებლობისათვის. ერთი თვის შემდეგ აკრეფის გარდა დაიწყება მუშაობა საზამთრო საძოვარი ადგილების მოსაწყობად: მათი ხარისხის გამორკვევა, განსაზღვრა საქონლის რაოდენობისა, რომელიც სარგებლობს საძოვარი ადგილებით და სხვ. საზამთრო საძოვარი ადგილები (უმთავრესად შირაქის ველი) შესახებ მიღებული ცნობები გამოდგება მასალათ საზაფხულო საძოვარ ადგილებზე მესაქონლეობის მოსაწყობად. საზამთრო საძოვარი ადგილების საერთო რაოდენობა საქართველოში უდრის 180. 000 დესიატინას.

შრომის კომისარიატში

— **უმუშევართათვის სასადილოების მოწყობა.** ამიერ კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატმა გადასწყვიტა მოაწყოს უმუშევრებისათვის სასადილოები, სადაც სადილები მიეცემათ უფასოთ ახალგაზრდა უმუშევრებს. სათანადო პროექტის და ხარჯთ-აღრიცხვის შესადგენათ დაარსებულ იქნა კომისია. ამავე კომისარიატს განზრახული აქვს რესპუბლიკების მასშტაბით უმუშევარ ახალგაზრდობის კვირეული მოწყობა.

სახ. სასურსათო კომისარიატში

— **დივიდენდი მეაბრეშუმეთ.** სახალხო სასურსათო კომისარიატმა აბრეშუმის პარკის რწმუნებულის განკარგულებაში დამატებით გადასცა 13.000 ათასი ფუთ ერთეული და ნახევარ მილიარდი მანეთი ქართულ ბონებით დივიდენდის მისაცემად იმ გლეხებისათვის, რომელთაც 1921 წლის მოსავლის აბრეშუმის პარკი მიაბარეს. ამით თავდება 1921 წლის დივიდენდით სრული დაკმაყოფილება მეაბრეშუმე გლეხებისა

— **აჭარის სასურსათო კომისარიატი.** საქართველოს სახალხო სასურსათო კომისარიატმა აჭარის სახალხო სასურსათო კომისარად ამხ. გათენაძე დანიშნა, რომელსაც დაევალა, ყოველ სასურკომის შტატი 50 პროცენტით შეამციროს ამ სთანავე სასურსათო კომისარიატმა დაადგინა, იშუამდგომლოს ამიერ-კავკასიის ფინანსთა კომისარიატის წინაშე, რათა აჭარის სასურკომს 500 მილიონი მანეთი მისცეს საქართველოს ბონებით, რომელიც სასწრაფოდ სჭირდება საბჭოთა მოსამსახურეებისა და წითელ-არმიელების მოსამარაგებლად

— **მეხუთე მარშრუტი რუსეთში.** სახალხო სასურსათო კომისარიატი უკვე შეუდგა თავდარიგს მეხუთე მარშრუტის დასამზადებლად რუსეთში გასაგზავნად. ამ მარშრუტით განსაკუთრებით ღვინო და კონიაკის სპირტი გაიგზავნება.

რკინის გზაზე

— **უბილეთო მგზავრობასთან ბრძოლა.** 1923 წ. იანვრამდის, თავის არსებობის სამი თვის განმავლობაში გზათა სახალხო კომისარიატის დამცველ განყოფილების მიერ ამიერ კავკასიის რკინის გზების მთელ ხაზზე დაკავებული იყო 5689 უბილეთო მგზავრი და გადახდა მათ 4910,42 ოქროს მანეთი, ჩამორთმეულ იქნა 520 ფუთი ბარგი, სპირტი 6 ფ 0 გ. არაყი 77 ფ 1 გ. გადახდევინებულია 0,99 ფ. ბარგის გადატანისათვის 5759 85 ოქროს მანეთი.

გადახდილ ფულის საერთო რაოდენობა უდრის 10.670,27 ოქროს მანეთს

— **ტრანსპორტზე.** დეკემბრის განმავლობაში ამიერ კავკასიის რკინის გზის სამმართველოს ცენტრიდან მიცემული ჰქონდა შესრულებინა ორთქლმავლების შეკეთებაზე 35 საანგარიშო ერთეული (ანგარიშში ერთ ერთეულათ მიღებულია საშუალო რემონტის ორთქლმავალი) თვის ბოლოს კაპიტალურ რემონტიდან გამოშვებულ იქნა 5 ორთქლმავალი, აღმდგენელიდან 5 საშუალო რემონტიდან 16 რაც ერთად შეადგენს 37 საანგარიშო ერთეულს

ორთქლმავლების რემონტი შესრულებულია დაკისრებაზე მეტი და შესრულების პროცენტი უდრის 1 5,7

ვაგონების შეკეთებისათვის მიცემული იყო 1103,5 საანგარიშო ერთეული თვის დამლევს კაპიტალურ რემონტიდან გამოშვებულია სამგზავრო ვაგონები—8, საშუალო—8, წლიური—37, მიმდინარე რემონტიდან გამოკლებით—23. საბარგო პარკის ვაგონები—კაპიტალური: ცისტერნები:—18, იზოტერმიული 1, დახურული—1, საშუალო რემონტის: იზოტერმიული—1, წლიური გაშინჯვის ყველა ხარისხების—365, მიმდინარე რემონტის ყველა ხარისხის—2061, რაც ერთად შეადგენს 185 ,4 საანგარიშო ერთეულს.

ვაგონების რემონტი შესრულებულია აგრეთვე დავალების ზევით და შესრულების პროცენტი უდრის 122,6.

სხვა და სხვა.

— **განათლების მუშაკთა სახლში.**

— პედაგოგიურ-პედოლოგიური ქვესექცია მოაწყობს მთელ რიგს რეფერატებისას პედაგოგიურ ახალ სისტემის კრიტიკის შესახებ თანამედროვე შრომის სკოლის თვალსაზრისით. დასახულია შემდეგი რეფერატები: 1. კერშენშტეინერი—მოხსენება რ. გ. რმენდიკ ს; 2. ლაი—გ. კონიევის და მ. ზანდუკელის; 3 დიუი—კოზლოვსკის და შახნაზაროვის; 4 ბლონსკი გეკკერის; 5 შაცკი დუბროვინას. პირველი მოხსენება კერშენშტეინერზე დანიშნულია შაბათს 27 იანვარს საღამოს 6 საათზე. სხვადასხ

— **ბიბლიოთეკო კურსები.** თებერვლის პირველ რიცხვებში პოლიტიკურ განათლების მთავარი მართველობა სასკოლო ასაკამდე აღზრდის მუშათა სახლში, აწყობს საბიბლიოთეკო კურსებს კურსების მიზანია მოამზადოს სახალხო ბიბლიოთეკებისათვის ახალი მუშაკები, რომელთაც შეეძლებათ იმუშაონ ქართულ მასებში, აგრეთვე განუმარტონ სასკოლო ასაკამდე აღზრდის მასწავლებლებს კომუნისტური იდეების მნიშვნელობა კურსებზე მიიღებიან მსმენელები მხოლოდ კომ. პარტიის თბილისის კომიტეტის დასტურით.

ხელოვნება

ჰაუპტმანის იუბილე. შაბათს, 27 იანვარს სუმბათოვ-იუჟინის სახელობის დრამატიული წრე მუშათა თეატრში, გერმანელ მწერლის ჰაუპტმანის დაბადებიდან 60 წლის შესრულების გამო, მართავს საიუბილეო წარმოდგენას [illegible] რეჟისორობით წარმოდგენილ იქნება მისივე პიესა „[illegible]"

— **დავით გურამიშვილის საღამო.** ამ დღეებში კონსერვატორიაში გაიმართება დავით გურამიშვილის საღამო.

— **პენსიონერთა სიის გადასინჯვა.** სახალხო განათლების კომისარიატმა დაადგინა გადასინჯულ იქნეს პენსიონერთა სია, რათა ბევრი უსაფუძვლოთ შეტანილი სიაში ამორიცხოს და აგრეთვე შეტანილი იქნენ სიაში [illegible]. პენსია მიეცემათ დამსახურებულ მეცნიერებს, მასწავლებლებს, პოეტებს, მსახიობებს, კომპოზიტორებს, მხატვრებს და სხ.

— **სომხური დრამა.** სომხური აკადემიური დრამა ამზადებს და ამ დღეებში წარმოდგენილი იქნება რუსთაველის თეატრში გოგოლის კომედია „რევიზორი" ა. ბურჯალოვის რეჟისორობით.

— **სახალხო თეატრი.** სახალხო განათლების კომისართან არსებული სახალხო სალიტერატურო კოლეგიამ შეიმუშავა „სახალხო თეატრის" დებულება, რომელიც უკვე დაამტკიცა კომისარიატმა. ამ დღეებში გაიმართება რამდენიმე საცდელი წარმოდგენა. პირველად წარმოდგენილი იქნება მეტერლინკის „ლურჯი ფრინველი", ა. ჯაბადარის თარგმანი, რომელიც უკვე გამოსცა გამომცემლობამ.

— **სახელმწიფო ოპერა.** დღეს, პარასკევს 26 იანვარს „ფაუსტი" და „ვალპურგიის ღამე". მონ. პ-პოვა, სურგუნოვა, კავსაძე, საბინინი, [illegible] და სხ.

დღეს თეატრებში.

სახელმწიფო ოპერა—„ფაუსტი" და „ვალპურგიის ღამე". რუსთაველის თეატრი—„მომაკვდავნი" თურქული წარმოდგენა. საბჭოთა თეატრი—კინო. სახალხო სახლი—ქართული წარმოდგენა.

პროვინციაში

გორის მაზრა.

გორის სახალხო სახლი. სამაზრო პოლიტგანათლების განკარგულებაში გორში არის სახალხო სახლი ოქტომბრის რევოლუციის სახელობისა სახალხო სახლს აკლია მრავალი ხელსაწყო, სპორტული სკამები, დეკორაციები და სხ. ადგილობრივმა ხელისუფლებამ (სამაზრო აღმასკომმა) რაც შეეძლო დახმარება გაუწია სახალხო სახლს, რის წყალობით შეკეთდა კედლები და სხ.

საჭიროა მას მიექცეს ჯეროვანი ყურადღება, სახალხო სახლის შესახებ [illegible] არის შემუშავებული ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც ითვალისწინებს დეკორაციების გაკეთებას, საჯდომების შეძენას და სხ. ხარჯთ აღრიცხვა შედგენილია 1800 მანეთით ოქროთი ეს თანხა სრულიად საკმარისია შესაკეთებლად და თუ იქნა ნაშოვნი, შემდეგი სეზონისათვის სახალხო სახლი ნამდვილ კულტურულ ტაძრათ დაემსგავსება.

პოლიტ განათლების მუშაობა. გორის სამაზრო პოლიტ განათლების მიერ გორის გამასწორებელ სახლში გახსნილია წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის სკოლა. აგრეთვე მოწყობილია სამკითხველო და პატარა ბიბლიოთეკა. პოლიტ-განათლების განყოფილებას აზრად აქვს მოაწყოს გამასწორებელ სახლში მთელი რიგი ლექციებისა. ერთი ლექცია უკვე მოწყობილ იქნას 16 იანვარს სარწმუნოების შესახებ. ლექცია ყურადღებით იქნა მოსმენილი და მან გამოიწვია მრავალი შეკითხვები.

გ.

წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს გაზეთში ჩემს შემდეგ განცხადებას:

დღიდან საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებისა საქართველოში, მე ვირიცხებოდი საქართველოს მემარცხენე სოციალისტ ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის წევრად და დიდის ყურადღებით ვადევნებდი თვალყურს კომუნისტურ პარტიის მუშაობას.

მე საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ კომუნისტური პარტია, ეს ერთად ერთი რევოლუციონური პარტიაა, რომლის ხელმძღვანელობით მშრომელი ხალხი განთავისუფლებს თავს კაპიტალის უღლისაგან. ამასთანავე საბჭოთა სისტემის გამარჯვება საუკეთესო საშუალებაა ნაციონალურ მშვიდობიანობის და ეროვნული თავისუფლების უზრუნველ ყოფად.

აღნიშნავ რა ყოველივე ზემოხსენებულს, ვაცხადებ, რომ მე დღეის რიცხვიდან გამოვდივარ საქართველოს მემარცხენე სოციალისტ ფედერალისტთა პარტიიდან და, ვსდგები რა მთლიანად მუშათა კლასის და კომუნისტური რევოლუციის თვალსაზრისზე, სრულიად შეგნებულად ვეწერები კომუნისტურ პარტიაში, ვსდებ მუშათა კლასის წინაშე რევოლუციონურ ფიცს, რომ მე მთელი ენერგიით, ფიზიკურად და იდეურად, ვიმუშავებ მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალის იდეების გასამარჯვებლად.

ალ. ჩახუნაშვილი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დეკრეტი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო აღიარებენ სამომხმარებლო კოოპერაციას ქვეყნის საზოგადოებრივი წყობილების განუყოფელ და აუცილებელ ნაწილად და ისახავენ თავის მიზნად ყოველნაირად ხელი შეუწყონ მას მთლად მოსახლეობის სამომხმარებლო საჭიროებათა დაკმაყოფილების საქმეში, აგრეთვე სახელმწიფო მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის შორის მჭიდრო კავშირის დამყარებაში,—და ამის გამო, ადგენენ:

1) ყველგან ქალაქში, საქარხნო-საფაბრიკო რაიონში და სოფლად ამ ჟამად არსებული ყველა სამომხმარებლო კოოპერატივი (საზოგადოება, ამხანაგობა და სხვ.) გაერთდებიან და მოეწყობიან ერთ სამომხმარებლო საზოგადოებად—ერთიანი სამომხმარებლო საზოგადოების სახით.

2) ქალაქად, საქარხნო-საფაბრიკო რაიონში და სოფლად, მიუხედავად მათი სივრცისა, არ შეიძლება იყოს ერთ სამომხმარებლო საზოგადოებაზე მეტი. სამომხმარებლო საზოგადოებას შეუძლიან დააკმაყოფილოს ორი ან რამდენიმე ახლო მდებარე დასახლებული პუნქტი.

3) ყოველი მოქალაქე უწყებული ადგილისა უნდა ჩაირიცხოს ერთიან სამომხმარებლო საზოგადოებაში. თვითეული მოქალაქე მიეწერება ერთ-ერთ პუნქტს სამომხმარებლო საზოგადოებისას.

4) ერთიანი სამომხმარებლო საზოგადოების ფარგლებში მოქალაქეთა შეერთება შეიძლება უფრო მცირე ტერიტორიალურ ერთეულებად, ან ასეთ პირთა ჯგუფებად, რომელნიც მისდევენ ერთ და იმავე მრეწველობას.

ყოველი ამგვარი შემაერთისათვის სავალდებულოა რეგისტრაცია და დამტკიცება იმ ერთიანი სამომხმარებლო საზოგადოების გამგეობის მიერ, რომლის რაიონშიც იგი მოეწყო.

ამგვარ შენაერთში წევრად, შესვლა და გამოსვლა ნებაყოფლობითია ერთსა და იმავე დროს წევრად ყოფნა ერთზე მეტი ნებაყოფლობითი შენაერთში შეუძლებელია.

5. სოფლად ერთიანი სამომხმარებლო საზოგადოების ფარგალში გლეხთა მოსახლეობისათვის ნებაყოფლობითი შენაერთის მოწყობა შეიძლება მხოლოდ საწარმოვო ან სასოფლო სამეურნეო ხასიათისა. სოფლად ნებაყოფლობითი შეერთება მარტოოდენ სამომხმარებლო ფუნქციებით შეიძლება მხოლოდ ცენტრალური კავშირის ნებადართვით თვითეულ ცალკე შემთხვევაში.

6. ყოველ ზემოხსენებულ ნებაყოფლობითი შენაერთს უფლება აქვს იმ ერთიანი სამომხმარებლო საზოგადოების მეშვეობით, რომლის რაიონშიაც იგი მოქმედებს, შეიძინოს თავის წევრთათვის ყოველგვარი სურსათ-სანოვაგე და სხვა საგანი მონაწილეთა მიერ დამატებითი გადასახადის (ფულად ან ნატურით) შეტანით.

7. სამომხმარებლო საზოგადოებათ და მათ კავშირებს ენიჭებათ იურიდიული პიროვნების უფლებანი, ე. ი. უფლება საქარხნო-საფაბრიკო მრეწველობისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქტებისა, აგრეთვე შინა-მრეწველობისა და ხელოსნობის ნაკეთობის გაცვლისა, შესყიდვისა და გასაღებისა.

ამ მიზნის განსახორციელებლად სამომხმარებლო საზოგადოებათ ნება ეძლევათ დასდონ ყოველგვარი ხელშეკრულება, რომელიც არ ეწინააღმდეგება საბჭოთა კანონმდებლობას, როგორც მაგალითად დამზადებისა, მიწოდებისა, გადამუშავებისა, შენახვისა, გაწმენდისა, ზემოაღნიშნული პროდუქტების შეგროვებისა, იარაღებისა და მასალების მომარაგების შესახებ და ამ ხელშეკრულებათა მიხედვით მიიღონ თავიანთ თავზე ვალდებულება და სხვა ამისი.

8. სამომხმარებლო საზოგადოებათ და მათ კავშირს (ცეკავშირს) უფლება აქვთ მოაწყონ საწარმოონი პროდუქტების მოპოვებისა და გადამუშავებისათვის, აგრეთვე მოაწყოს ბოსტნები, რძის ფერმები და სხვა ამგვარი საწარმოონი; შეასრულონ მომარაგებისა, დამზადებისა და განაწილების საქმეში ნებაყოფლობითი სამომხმარებლო შენაერთებისა, სახელმწიფო დაწესებულებათა და კერძო პირთა დავალებანი.

სამეურნეო მოქმედებასთან ერთად ნება ეძლევათ აწარმოონ ყოველგვარი გამოკვლევანი, გამოსცენ პერიოდული და სხვ. გამოცემანი, დაარსონ ერთიანი სამომხმარებლო საზოგადოებათა და მათ კავშირთა საჭიროებისათვის ხელისშემწყობ დაწესებულებანი.

9. სამომხმარებლო საზოგადოებათ და მათ კავშირს (ცეკავშირს) სახელმწიფო აკისრებს ხელშეკრულების საფუძველზე შემდეგ ვალდებულებას:

ა) შესრულება სახელმწიფო ორგანოთა მიერ შენაკვეთისა ნედლი მასალისა და სასოფლო-მეურნეობის პროდუქტების დამზადების სფეროში;

ბ) მიყიდვა მცხოვრებლებისათვის ყოველგვარი სასურსათო და ფართო მოხმარების საგნებისა, რომელიც დამზადებული იქნება სახელმწიფოს ფაბრიკა-ქარხნებში, მიღებული საიჯარო საკონცესიო საწარმოთაგან, ან და შემოტანილი საზღვარგარეთიდან.

10. სამომხმარებლო საზოგადოებათ და კავშირს (ცეკავშირს) უფლება ეძლევათ გადაახდევინონ თავიანთ წევრებს შესაწერი და საპაიო გადასახადები და ავანსები, ამასთანავე მოსახლეობის უღარიბესი ჯგუფებისათვის მონაწილეობა სამომხმარებლო საზოგადოებაში უზრუნველყოფილ უნდა იქნეს განსაკუთრებული წესებით.

11. ერთიანი სამომხმარებლო საზოგადოების სათავეში სდგას არა ნაკლებ სამი წევრისაგან შემდგარი გამგეობა და სარევიზიო კომისია, რომელთაც აირჩევს წევრთა საზოგადო კრება.

აქტიური და პასიური არჩევნების უფლება აქვს ყველა მოქალაქეს, გარდა ისეთებისა, რომელთაც ჩამორთმეული აქვთ საარჩევნო უფლება საბჭოთა კონსტიტუციისა და სასამართლო ორგანოების დადგენილების თანახმად, იმისდა მიუხედავად შეტანილ ექნებათ, თუ არა, ჩასაწერი და საპაიო გადასახადი.

12. რესპუბლიკის ტერიტორიაზე ერთიანი სამომხმარებლო საზოგადოებანი შეერთდებიან ერთ საქართველოს ცენტრალურ კოოპერატიულ კავშირად (ცეკავშირში). გამგეობა და სარევიზიო კომისია ცენტრალური კოოპერატიული კავშირისა (ცეკავშირისა) ამოირჩევა იმ სამომხმარებლო საზოგადოებათა, სატრანსპორტო სამომხმარებლო საზოგადოებათა და სამხედრო კოოპერატიული ორგანიზაციების რწმუნებულთა კრებებზე, რომელნიც შედიან ცენტრალურ კოოპერატიულ კავშირში.

13. რათა სამომხმარებლო კოოპერაციის საქმეში მუშათა კლასის სათანადო გავლენა და ხელმძღვანელობა უზრუნველყოფილ იქნეს, პროფესიონალური კავშირების საბჭოებს უფლება აქვთ წარგზავნონ, როგორც სამომხმარებლო საზოგადოების კრებებზე, ისე კავშირებში თავიანთი წარმომადგენელნი,—გადამწყვეტი ხმის უფლებით,—რიცხვით არა უმეტეს შეკრებილთა ერთი მესამედისა.

14. ყველა დღემდის გამოცემული დებულება და დეკრეტი საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ, რომელიც ეწინააღმდეგება ამა დეკრეტს—გაუქმებულ იქნეს.

15. ამა დეკრეტის განმარტებისა და განვითარების მიზნით ცენტრალურ კავშირის (ცეკავშირის) უფლება ეძლევა გამოსცეს საქართველოს საზღვრებში მომქმედ სამომხმარებლო კოოპერატივებისათვის სავალდებულო დადგენილებანი და დებულებანი.

16. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნების.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მ. ორახელაშვილი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი საბაშვილი.

1923 წ. იანვრის 24
ტფილისი—სასახლე.

—

ვამტკიცებ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ს. ს. ს. რ. მ. ორახელაშვილი.
18/I 23 წ.

განცხადება

I.

საქართველოს საგანგებო კომისიის მებრძოლის კონტრ-რევოლიუციასთან, სპეკულიაციასთან, თანამდებობის პირთა ბოროტ-მოქმედებასთან, ჯაშუშობასთან და ბანდიტიზმთან

იანვრის 26 1923 წ.
ქ. თბილისი.

ცეცხლ მსროლი იარაღების სრული აღრიცხვის მიზნით, აგრეთვე იმის გამო, რომ გახშირდა შემთხვევები უმიზნო სროლისა, რომელიც არღვევს, რევოლიუციონურ წესრიგს და მშვიდობიანი მოსახლეობის მყუდროებას, საქართველოს საგანგებო კომისია, მებრძოლი ამნაირ ბოროტმოქმედებასთან და საქართველოს სოც. ალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში რევოლიუციონური წესრიგის და მშრომელი მასების პირადი უშიშროების დამცველი **უბრძანებს:** ცეცხლ მსროლელი იარაღის მქონე ყველა მოქალაქეებს გაატარონ რეგისტრაციაში თავისი იარაღი ათი დღის განმავლობაში, დღიდან ამ ბრძანების გამოქვეყნების.

1) წინეთ გაცემული მოწმობები ცეცხლ-მსროლი იარაღის ტარების შესახებ ცხადდება გაუქმებულად და უკანვე უნდა იქნას წარმოდგენილი.

შენიშვნა: ცეცხლ მსროლი იარაღის ტარების მოწმობები გაიცემა ექვსი თვის ვადით, რომლის შემდეგ განახლებულ უნდა იქნეს წარწერით ან ახლებით შეცვლილი, ხოლო ნებართვის მიცემისათვის დაწესებულია გადასახადით ერთი მანეთი ოქროთი ფულის ნიშნებში დღის კურსის მიხედვით.

2) იარაღის რეგისტრაცია და ნებართვების გაცემა იწარმოებს ქ. თბილისში საქართველოს საგანგებო კომისიაში. ტროცკის ქუჩაზე (ყოფილ პეტრე დიდის ქუჩა № 2), ბათუმში—აჭარისტანის საგანგებო კომისიაში, სამხრეთ ოსეთში და მაზრებში სათანადო პოლიტ-ბიუროსა და საინფორმაციო პუნქტებში.

3) დამნაშავენი ამ ბრძანების დაწესებულ ვადაზე შეუსრულებლობაში მიეცემიან პასუხის გებაში, როგორც იარაღის დამალვისათვის მუშურ-გლეხურ ხელისუფლების საზიანოდ.

შენიშვნა: ცეცხლ მსროლი იარაღის ტარების მოწმობის მისაღებად საჭიროა განცხადების მიცემა, სადაც უნდა იყოს ნაჩვენები: 1) სახელი, მამის სახელი და გვარი, 2) სად მსახურობს, 3) რა თანამდებობაზე, 4) რისთვის სჭირდება ცეცხლ-მსროლი იარაღი, 5) სისტემა, იარაღის, 6) იარაღის №, 7) როგორც სამსახურის ისე საცხოვრებელი ადგილის სწორი მისამართი და 8) ორი ფოტოგრაფიული სურათი.

შენიშვნა: 1. ეს ბრძანება არ ვრცელდება სამხედრო მოსამსახურეებზე, რომელთაც თანამდებობით აქვთ მინდობილი იარაღი, მილიციის, თანამშრომლებზე, კომპარტიის და ახალგაზრდა კომკავშირის წევრებზე, რომელთაც პირადობის მოწმობებში (ან წევრთა ბილეთის წიგნაკებში) უნდა ქონდეთ აღნიშნული, რა იარაღის და რა №-ით ატარებენ.

შენიშვნა: 2. სანადირო ცეცხლ-მსროლი იარაღის და იარაღის მასალის ([illegible]) რეგისტრაცია სწარმოებს მონადირეთა კავშირებში და სამონადირო ბილეთები სწევენ ასეთის ტარების ნებართვის მაგიერობას.

საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარე მ. კვანტალიანი

საიდუმლო-ოპერატიული ნაწილის უფროსი ლ. ბერია

საგანგებო კომისიის მდივანი ა. ნიქელაძე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— შაბათს 27 იანვარს საღამოს 6 საათზე ცენტრალური პარტ-სკოლის ბინაზე შესდგება სტუდენტთა წრის კრება; ხელმძღვანელობს ამხ. ნოვიკოვი.

ს. კ. პ. ტ. კ. საგიტ-საპროპაგანდო განყოფილება.

— შაბათს, 27 იანვ., საღამოს 7—9 ს. ცენტრ. პარტიული სკოლის შენობაში გაიმართება ამხ. ნოვიკოვის ხელმძღვანელობით სტუდენტთა წრის კრება.

— საქ. კ. პ. ც. კ. ქალთა [illegible] [illegible] განყოფილება [illegible] ყველა ქალაქის და მაზრის ქალთა განყოფილებებს, 27 იანვარს სადელეგატო კრებებზედ დასვან საკითხი, რატომ არ ვუქმობთ ნინოობის დღეს.

ს. კ. პ. ც. კ. ქალთა განყოფილება.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა 1922 წ. 27 იანვრისათვის დამთავრდეს იანვრისათვის პარტიის წევრების და კანდიდატებისაგან საწევრო გადასახადის აკრეფა და ასეთების სია წარდგენილი იქნეს 27 იანვრისათვის თბილისის კომიტეტის აღმრიცხავ—სტატისტიკურ ქვეგანყოფილებაში. თბილისის კომიტეტი იტყობინება, რომ პარტიის წევრები, რომლებიც არ შეიტანენ საწევრო გადასახადს და აგრეთვე გადასახადს ურთიერთ დამხმარე კასაში, ვერ მიიღებენ პარტიულ ბილეთებს

— სა[illegible] [illegible] კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის 4 რაიკომი აცხადებს, რომ პარასკევს 26 იანვარს ერთიან პარტიულ დღის ნაცვლად, გაიმართება 4 რაიონის წევრთა და კანდიდატთა საზოგადო კრება პატარა თეატრის შენობაში (რუსთაველის თეატრის პირდაპირ), საღამოს 5 საათზე, დღის წესრიგშია რაიკომის ანგარიში და ახალი რაიკომის არჩევნები.

დასწრება სავალდებულოა.

განცხადებები

შაბათს, 27 იანვარს, შუადღის 11 საათზე მისი სახელწოდების დღის ვერის წ. ნიკოლოზის სასაფლაოზე გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი

ნინო დიმიტრი ბოკერიას ასული
დათეშიძის

სულის მოსახსენებლად რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ განსვენებულის ჭირისუფლები. (64 1—1)

სოფრომ (იგივე ილიკო) დედა ნინა ფირცხალაშვილები, და პარასკევა კვაჭანტირაძე აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ კვირას, 28 იანვარს, დღის ათ საათზე გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი მიცვალებულ ს

ქსენია (იგივე ნიტრო)
ფირცხელაშვილისა.

(65—1—1)

კახელ მევენახეთა კოოპერატიული საზოგადოება

„კახეთი“-ს
გამგეობა

ამით აცხადებს საზოგადოების წევრთა საყურადღებოთ, რომ 18 თებერვალს 1923 წელ. ქ. ტფილისში საკუთარ შენობაში (გოგოლის ქ. № 63 დილის 10 საათზედ დანიშნულია

წევრთა საზოგადო კრება

განსახილველია: 1) წევრთა სიის გადასინჯვა, 2) განხილვა და დამტკიცება 1921—22 საოპერაციო წლის ანგარიშისა, 3) განხილვა და დამტკიცება 1922—23 საოპერაციო წლის ხარჯთ-აღრიცხვისა და მომავალ მოქმედების გეგმისა, 4) მოხსენება საბჭოსი, გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა, 5) არჩევა ერთი გამგეობის წევრისა, ნაცვლად რიგით გასულ გამგეობის წევრის ი. დ. ლიონიძისა, ერთი საბჭოს წევრის, ნაცვლად თავის ნებით გასულ ლ. ი. გოგნიაშვილისა და სარევიზიო კომისიისა, 6) მიმდინარე საკითხები.

კოოპერ. საზ. „კახეთი“-ს გამგეობა.

(63—1—1)

ქ. ტფილისის აღმასკომის გადასახადთა
ბიურო

ამით აცხადებს, რომ ხუთშაბათს 1 ლ თებერვალს 1923 წ. შუადღის 12 [illegible] კომის [illegible] დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა სასტუმრო „აპოლოზე“

პირობების გაგება შეიძლება [illegible] ბიუროს კანცელარიაში საჯარო მაგიდის გამგესთან ოთახი № 50. (კრ. 103—3—1)

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 345 მიღებული სახელმწ. უნივერსიტ. ელენე ბაბუნაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. (66—1—1)

საქართველოს სასურსათო სახალხო
კომისარიატი

უნივერსალური მაღაზია № 1.
(სასახლის ქ. ჟირარდის ყოფ. მაღაზია).

მანუფაქტურა, მინის და ემალის ჭურჭელი და ფართო მოხმარების სხვა საგნები.

მაღაზია № 2.
პლეხანოვის პროსპ. სახელოსნო კლუბის პირდაპირ.

ყველაფერი სასოფლო მეურნეობისათვის
სხვა და სხვა მიწის მუშაობის იარაღები

სასურსათო მაღაზია № 3.
დესიმონოვის მოედანი, 4 (რიგე).

თევზეულობის მაღაზია
პუშკინის ქ. ყოფ. ხემენარია.

ყოველ დღე მოდის თევზეულობის და ხიზილალას დიდი პარტიები

ფასები ბაზრის ფასებზე ნაკლებია

კომერციული განყოფილება
ვენგულოვის ქ. № 2.

უიდულობს: აბრეშუმს, ფრიზონს, აბრეშუმის პარკს და სხვა ნედლ მასალას, სასურსათო პროდუქტებს და სხვა ნაღდ ანგარიშზე საქონლის მანეთის კვალობაზე. (კრ. 96—3—2)

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობით
ნერვიული და შინაგან ავადმყოფებისათვის—ორთოპედიულ და ფიზიკურ მეთოდებით [illegible] [illegible] [illegible].
სამკურნალოს სწორმართავს ექ. სვიმონ ყიფშიძე ხელმძღვა
ნიკოლოზ. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20 (733—25—21)

საქალაქო გადასახადის გამტარებელი
კომისია

ამით აცხადებს, რომ ის პირნი, რომელთაც 25 იანვრამდე არ შეიტანეს სამოქალაქო გადასახადი [illegible] 26 იანვრიდან 31 იანვრამდე [illegible] აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებისა, გადასახადის დღე დამატებით [illegible] 25 პროც.-ს 1 თებერვლიდან კი იხდიან გაორკეცებულ გადასახადს [illegible] კურსით.

(კრ. 99 2—2)

საქალაქო გადასახადის გამტარებელი კომ.

საქართველოს კოოპერატივთა ცენტრალური
კავშირი
(ცეკავშირი)

აერთიანებს საქართველოს ყველა კოოპერატიულ ორგანიზაციებს.

მთავარი კანტორა: ტფილისი შტაბის ქ. 4—6 ტელ. 1—9; ტელეგრაფით მისამართი: ტფილისი ცეკავშირი.

შესდგება ორი სავაჭრო და არა სავაჭრო (სეკრეტარიატის) დარგებისაგან.

სავაჭრო დარგი: აწარმოებს ყოველნაირ სავაჭრო ოპერაციებს, როგორც რესპუბლიკის ბაზრებში (მოკავშირეთა ორგანიზაციების საშუალებით), ისე საზღვარ-გარეთაც (წარმომადგენლების საშუალებით); ამზადებს, როგორც ნედლეულობას, ისე [illegible] ნაწარმოების ყოველგვარ პროდუქტებს; აწარმოებს საკომისიო ოპერაციებს: აქვს სატრანსპორტო-საექსპედიციო განყოფილება, რომელიც ასრულებს ყოველნაირ დავალებებს, როგორც კოოპერატიულ და სახელმწიფო ორგანიზაციების, ისე კერძო პირთას.

განყოფილებები და წარმომადგენლობები: 1) განყოფილება ბათომში: მ. ხაილოვის ქ. № 10; 2) წარმომადგენლობა ევროპაში გ. ვლიამდოვი; 3) წარმომადგენლობა ყრიმში ქ. იალტა ვინოგრადნაია 11; 4) წარმომადგენლობა ბაქოში, პოჩტოვაია 82; 5) წარმომადგენლობა სტამბოლში (ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სტამბოლის განყოფილება); 6) წარმომადგენლობა ოდესაში პრეობრაჟენსკაია 11 ბინა 6; 7) წარმომადგენლობა ნოვოროსიისკში, ცემსკაია 27; 8) წარმომადგენლობა ხარკოვში, დიმიტრიევსკაია 15; 9) წარმომადგენლობა სევასტოპოლში, ნახიმოვსკაია 6.

ცეკავშირის საკუთარი წამოწყებები

1) **საპნის ქარხანა.** ტფილისი, ვორონცოვის ქ. 106 ტელ. 18—08; 2) **ქსოვის ქარხანა,** ტფილისი, კარუსელნაია 18 ტელ. 11—80; 3) **საკონსერვო ქარხანა გორში.** სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ტექნიკურად გადამუშავება; 4) **სტამბა.** ტფილისი, პლეხანოვის პრ. № 71 ტელ. 11—80. დაკვეთების მიღება ყოველნაირ სასტამბო სამუშევრისა; 5) საკუთარი გემი „საქართველოს კოოპერაცია“.

ცენტრალური საწყობი: ტფილისი, დროვიანაია 1, ტელ. 19—70.

არა სავაჭრო დარგი (ანუ სეკრეტარიატი) აწარმოებს მუშაობას საიდეიო-საორგანიზაციო სფეროში და იყოფა შემდეგ განყოფილებებად:

1) საორგანიზაციო-საინსტრუქტორო-ინსტრუქციული და ორგანიზაციული დახმარება ყველა სახის კოოპერატიულ ორგანიზაციისათვის.

2) სასტატისტიკო-კონიუნქტურული-კოოპერატიული სტატისტიკა, ინფორმაცია, ეკონომიური გამოკვლევა და სხ.

3) საგამომცემლო—გამოცემა ყოველნაირი წიგნების, ბროშურების და სხ. კოოპერატიული და ეკონომიურ შინაარსიანი, საკუთარი კოოპერატიული ორგანოს „კავშირის“ გამოცემა, დაკვეთების მიღება ყოველნაირ სასტამბო მუშაობაზე და სხ.

4) კოოპერატიული განათლების—კოოპერატიული განათლების საორგანიზაციო ცენტრი, წიგნის მაღაზია, კოოპერატიული ორგანიზაციების კონსულტაცია მათში კოოპერატიული განათლების სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად.

მიმდინარე ანგარიში ბანკებში:

სახალხო ბანკში: უბრალო მიმდინარე ანგარიში № 18, სპეციალური მიმდინარე ანგარიში № 16.

კოოპერბანკში: უბრალო მიმდინარე ანგარიში № 3, სპეციალური მიმდინარე ანგარიში № 6.

(კრ. 65—8—7)